გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 68
(11 934)

2 – 5 სექტემბერი, 2005 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერშია:

• გაუთავებელი ქიში ქართულ ჭადრაკში
• კახი ასათიანის გახსენება
• მეთერთმეტე...
• ქართული ფეხბურთის ახალი ამბები
• რა იცის ანდრეი შევჩენკომ?
• ვან გაალი არველაძით აღფრთოვანებულია

• კლიჩკოს ნოკაუტით ემუქრება...
• საჭადრაკო

ამოცანა, კროსვორდი

VIII თვის მონაგარი

# შთამბეჭდავი აგვისტო...

აგვისტოც მნიშვნელოვანი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებებით დატვირთული თვე იყო. შედარებით ნაკლები იყო ჩვენი შინაური ასპარეზობები, თუმცა, ფეხბურთში ეროვნულმა ჩემპიონატმა, სწორედ აგვისტოში მოიკრიბა ძალა. შედგა საქართველოს თასზე რაგბში „ლელო“ – „ლოკომოტივის“ ფინალი. ჯილდო რკინიგზელებმა დაიმსახურეს.

უდავოდ სასახელო წარმატება მოიპოვეს ჩვენმა 16 წლამდელმა კეტბურთელებმა საერთაშორისო სარბიელზე. თანატოლთა შორის ევროპის ჩემპიონატში ქართველებმა ყველა მეტოქეს სძლიეს და უფლება მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატში ევროპა წარმოედგინათ. ახალგაზრდა ფალავნებიდან ასევე კონტინენტის ჩემპიონატში ვროცლავში, თავისუფალ ჭიდაობაში, „ოქრო“ მოიპოვეს მალხაზ ქურდიანმა და გიორგი ნიკურაძემ, „ვერცხლი“ – მალხაზ ზარქუამ და ნიკოლოზ გაგნიძემ. გუნდური პირველობა კი ჩვენებმა მხოლოდ რუსეთის ნაკრებთან დათმეს. ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეების ანგარიშზე კი ერთადერთი „ბრინჯაოა“, რომელიც იქვე, ვროცლავში გიორგი გვენეტაძეს ხვდა წილად.

სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზეც მხოლოდ ფალავნებმა გვასახელეს – მოპოვებულია 4 მედალი, რამაც საქართველო 33-ე ადგილზე გაიყვანა უნივერსიადის მონაწილე 200 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის.

ჩვენი მოჭადრაკე ქალები ევროპის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ. თურქეთის საერთაშორისო ტურნირში დაშნით ფარიკაობაში მესამე იყო ქუთაისელი დავით არველაძე. გვასახელეს ჩვენმა მთამსვლელებმა. ერთმა ჯგუფმა ბიძინა გუჯაბიძის ხელმძღვანელობით ტიან-შანზე მწვერვალი ხან-ტენგრი დალაშქრა. ორმა კი „ლენინის პიკზე“ შედგა ფეხი. წარმატებით დაასრულა წლევანდელი სეზონი ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ, რომელმაც მსოფლიო სუპერ თასის ეტაპზე მიუნხენში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში.

წლევანდელი აგვისტო რამდენიმე ღირსსახსოვარი ღონისძიებით შევა ქართული სპორტის ისტორიაში. მთავარი კი ისაა, რომ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ სათავე დაუდო მასობრივ შეჯიბრებას მინიფეხბურთში პრეზიდენტის თასზე, რომელიც უკვე დასასრულს უახლოვდება. კვლავ შეუნელებლად მიმდინარეობს მარტივი სპორტული მოედნების მშენებლობა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელშეწყობით. თბილისის საკრებულომ შესწორებები შეიტანა წლევანდელ ბიუჯეტში და კიდევ უფრო გაზარდა სპორტული ობიექტების გაშენების ხარჯები. მეტი დაფინანსება გამოიყოფა სპორტული ღონისძიებებისთვისაც. და კიდევ: ბორჯომ-ბაკურიანი ჩაირიცხა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველ აპლიკანტთა სიაში. ათიათასობით ახალგაზრდამ დაისვენა პატრიოტულ ბანაკებში, სადაც აქტიური გართობა-დასვენების მთავარი ფუნქცია სპორტს ჰქონდა დაკისრებული. თბილისში დაფუძნდა ჭიდაობის საქალაქო ფედერაცია.

ცხადია, იყო დასანანი მოვლენებიც – წარუმატებლობები, სკანდალები, ტრაგედიები, დაპირისპირებები, მაგრამ მათზე არ შევჩერდებით. ჩვენ მხოლოდ მონაგარი შევახსენეთ მკითხველს.

## ოსურ „ალანიას“ მხოლოდ ერთი ქართველი შემორჩა

რუსული პრემიერლიგის, ვლადიკავკაზის ,,ალანიას'' ხელმძღვანელობამ, მოულოდნელი და გარკვეულწილად სენსაციური გადაწყვეტილება მიიღო. რატომღაც საზაფხულო სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, გუნდიდან ერთბაშად ექვსი ქართველი ფეხბურთელის სამსახურზე განაცხადა უარი. ესენი არიან: **გიორგი შაშიაშვილი, ვიტალი დარასელია, ჯაბა კანკავა, დავით კვირკველია, ვლადიმერ ბურდული, ლევან გვაზავა.** თუ რამ გამოიწვია ამ ფეხბურთელების გუნდიდან დათხოვნა, ჯერჯერობით უცნობია. ამიერიდან ოსურ კლუბს, დონეცკის ,,მეტალურგიდან'' რამდენიმე თვის წინათ გადასული, **გიორგი დემეტრაძე** დაიცავს.

კახა მგელაძე.

## ჩაჩეხილი ხიდი ქართულ ჭადრაკში




ქართულ ჭადრაკში დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გურამ აბსანძემ** პრესკონფერენცია გამართა, რომელზედაც შეეცადა ჟურნალისტებისათვის აეხსნა შვედეთში, ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ქართველ მოჭადრაკეთა გამგზავრებასთან დაკავშირებით მომხდარი სკანდალის მიზეზები, დაემტკიცებინა თავისი სიმართლე...

პრესკონფერენციას საკმაოდ ბევრი ჟურნალისტი დაესწრო. პრეზიდენტის ოთახში შესვლის სურვილი ჰქონდათ მოჭადრაკეებსაც და სხვა დაინტერესებულ პირებსაც, მაგრამ აბსანძემ მხოლოდ ჟურნალისტებთან შეხვედრა ისურვა. დასაწყისში მან აღნიშნა, რომ არ ეგონა თუ ასეთი პრესკონფერენციის გამართვის საჭიროება შეიქმნებოდა...

— იძულებული გავხდი, ჩემი მისამართით გამოთქმულ პრეტენზიებსა და ცილისწამებებზე პასუხი გამეცა — განაცხადა გურამ აბსანძემ. მან გაიხსენა, რომ 1991 წელსაც იყო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი და 13 წლის შემდეგ, როცა კვლავ აირჩიეს ამ თანამდებობაზე, მთავარ მიზნად დაისახა ორ ბანაკად დაყოფილი ქართული ჭადრაკის გაერთიანება. ,,მოწინააღმდეგე ბანაკის წევრები გამგეობის შემადგენლობაში შეიყვანეს (აკი სატელევიზიო არხ — ,,რუსთავი 2''-ის ეთერში წამოაძახა კიდეც აბსანძემ ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს **გურიელს**, — ჩემი წყალობით გამგეობის წევრად და ქალთა ნაკრების კაპიტნად აგირჩიესო) და უფლება მივეცით, მათაც თავიანთი წვლილი შეეტანათ ქართული ჭადრაკის განვითარებაში. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ თურმე ეშმაკს არ ეძინა. როგორც ჩანს, მოწინააღმდეგეებმა ვერ მოინელეს მარცხი და ჩასაფრებული კაცის პოზიციიდან დამიპირისპირდნენ. ევროპის გუნდურ ჩემპიონატამდე ყველა ღონისძიება დავაფინანსეთ და პრობლემები მხოლოდ შვედეთში გამგზავრების წინ შეგვექმნა''.

როგორც ცნობილია, იმ მომენტისათვის გავრცელდა ინფორმაცია, რომ სპორტისა და კულტურის სამინისტრომ, სპორტის დეპარტამენტმა, გამგზავრებამდე მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე შეიტყვეს ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ქართველი მოჭადრაკეების გაგზავნისათვის საჭირო თანხის შესახებ. აბსანძემ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც 8 ივნისით თარიღდება, — მან მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და მოსთხოვა საჭირო თანხა. ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, ამ დოკუმენტმა გაიარა **გიგი უგულავას, პეტრე მამრაძის, გოკა გაბაშვილის, თამარ თევზაძის** და **დავით ნამგალაურის** ხელში, თუმცა, როგორც თავად აბსანძე აცხადებს, ორი თვის განმავლობაში პასუხი არ მიუღია.

მოხდა ისე, რომ გურამ აბსანძე უცხოეთში წავიდა სამკურნალოდ და როცა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე საქართველოს დელეგაციის გამგზავრებამდე ოთხი დღე რჩებოდა, ფედერაციის პრეზიდენტმა შეიტყო, რომ თანხა არ გამოიყოფოდა. ის სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში, შეხვდა პრემიერმინისტრს, რომელმაც აღუთქვა, რომ მას გოკა გაბაშვილი დაუკავშირდებოდა. ამ ამბიდან მესამე დღეს, რაკი აბსანძემ გაბაშვილისგანაც ვერ მიიღო პასუხი, თავად დაუკავშირდა სპორტისა და კულტურის მინისტრს.

ვთხოვე, ვინმესგან ესესხებინათ ფული, სამაგიეროდ, საკუთარ ქონებასაც

იხ. მე-2 გვ.

## მეოთხეც წარუმატებლად...



ქალების ფრენბურთისა არ იყოს, არც ვაჟთა პლაჟბურთში გვიმართლებს. ჩვენი წყვილი – სოსო ლობჟანიძისა და ვახტანგ ჩიქოვანის შემადგენლობით, რაღაცის იმედით ნამდვილად მიდიოდა ათენში სპორტის ამ მასობრივ სახეობაში მსოფლიო სერიის მორიგ ეტაპზე. წლეულს მათ სამი ეტაპის გამოცდილება უკვე ჰქონდათ, მაგრამ წარუმატებელი – საკვალიფიკაციო შეხვედრებს ერთხელაც ვერ გასცდნენ. არც ამჯამად მოხდა სასწაული. ათენის პლაჟბურთის ოლიმპიურ ცენტრში ჩვენი დუეტი კუბელებთან დამარცხდა 18:21.

## ვაზუსტებთ...

„ლელოს“ წინა ნომერში ოპერატორის დაუდევრობით გაიპარა დასანანი კორექტურა. გაზეთის პირველ გვერდზე წერილში „ტრაბახსაც ტყუილივით მოკლე ფეხები აქვს“... მესამე აბზაცის მე-8 სტრიქონში უნდა იკითხებოდეს „71:82 წააგეს“ შემდეგ, როგორც ტექსტშია.

# საქართველო – უკრაინა

## ახალგაზრდები ჩამოვიდნენ, შევჩენკოსა და კომპანიას დღეს ელიან

## ქართველები პატრიარქმა დალოცა

მოახლოვდა შესარჩევი მატჩების მორიგი ტური და ევროპაში დიდი ფეხბურთის შაბათ-ოთხშაბათის დრო, ისევ დადგა. ქართველებიც, ჩვენი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევი მატჩების მზადება-მოლოდინში არიან. ჩვენებურთა პირველი მეტოქე უკრაინის ნაკრებებია. სლავების პირველი ნაკადი თბილისს გუშინ, შუადღისას, 13 საათზე ეწვია. უკრაინის ახალგაზრდული ნაკრები ,,შერატონ მეტეხი პალასში'' დაბინავდა, საღამოს კი მიხეილ მესხის სტადიონზეც ივარჯიშა. დღევანდელი მატჩი ახალგაზრდულ გუნდებს შორის ეროვნულ სტადიონზე, 19 საათზე დაიწყება. მატჩს ჩეხი მსაჯები გაუძღვებიან. მთავარი მსაჯი **მილან შედივია**, მას ასისტენტობას გაუწევენ: **ვიტესლავ ჰოლუბი** და **მარტინ ვილჩეკი.** მეოთხე მსაჯი **რადეკ მატეიეკია. ალექსეი მიხაილიჩენკოს** ახალგაზრდული ნაკრები მეორე ჯგუფში მეორე ადგილზეა და უპირობო ლიდერის დანიის ნაკრების უპირველესი კონკურენტია, ამიტომაც სლავები უძლიერესი შემადგენლობით და ამბიციებით ჩამოვიდნენ საქართველოს დედაქალაქში. ჩვენთვის, ერთი შეხედვით, მატჩი, თითქოს, უმოტივაციოა, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის. პირველი ის არის, რომ კობა ჟორჟიკაშვილმა ძმაგები წარმატებას შეგვაჩვია, მეორე — რევანში გვაქვს ასაღები შარშანდელი მტკივნეული (0-6) დამარცხებისთვის. ასე რომ, დღევანდელ ახალგაზრდულ ნაკრებთა პაექრობას მეტოქეთათვის აქტუალურობა არ დაუკარგავს. უკრაინელებთან მატჩისთვის კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდები მცხეთაში ემზადებოდნენ. გუნდი სასტუმრო ,,მცხეთა პალასში'' იყო დაბინავებული და ქალაქ-მუზეუმის ცენტრალურ სტადიონზე ვარჯიშობდა. მაშინ კი ვაკის სტადიონიც დააჭაშნიკა.

**გაიოზ დარსაძე** და მასპინძელთა ეროვნული გუნდი კი მსოფლიო პირველობის შესარჩევი ჯგუფის პირველ, უსაშველოდ დაწინაურებულ გუნდს, 20 საათსა და 15 წუთზე ხვალ, მ. მესხის სახელობის სტადიონზე მიიღებს. უკრაინელები სამი ქულის აღებას და გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის განაღდებაზე ფიქრობენ. ნაკრების ტექნიკურ ცენტრში განთავსებული ჩვენი გუნდი ,,დინამოს'' დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობს, მატჩის წინადღეს, ეროვნული სტადიონის მწვანე საფარსაც დაათვალიერებს. უკრაინელთა დელეგაციის ძირითადი ნაწილი და ბლოხინის ეროვნული გუნდი შევჩენკოთი და კომპანიით დღეს, დაახლოებით, 13 საათსა და 15 წუთზე ჩამოფრინდება. უკრაინელთა ეროვნული ნაკრები და ოფიციალური დელეგაცია სასტუმრო ,,თბილისი-მარიოტში'' დაიდებს ბინას. ჟურნალისტთა ოთხმოცკაციანი ამალა კი სასტუმრო ,,ქორთიარდ-მარიოტს'' მიაშურებს. მეტოქე ეროვნულ სტადიონზე დღესვე ივარჯიშებს.

ქართული გუნდებისთვის უკრაინელებთან წარმატებული პაექრობა პრესტიჟის საქმეა. ოთხშაბათს, ეროვნული ნაკრები საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა **ილია მეორემ** მიიღო და დალოცა. მნიშვნელოვანი მატჩის წინ, ჩვენებურთა ბანაკში სიმხნევე და ოპტიმიზმი სუფევს. მყარი ნაბიჯი მომავლისთვის, თავდადება, პატრიოტიზმი, ასეთია წინასამატჩო განწყობა მასპინძლებში. ვნახოთ, რას დაუპირისპირებენ უკრაინელები ქართველთა სულისკვეთებას.

ეროვნულ ნაკრებთა მატჩი, ვინაიდან, დახურულია, ფიფასთვისაც განსაკუთრებული სირთულის შეხვედრაა, ამიტომ, ასეთი რანგის მატჩების ტრადიციულ ფიფასეულ დელეგატს ბელგიელ **ჟან-მარი ფილიპსს**, მსაჯების ინსპექტორს ჩეხ **ვაცლავ კრონდლს**, უსაფრთხოების ოფიცერი ინგლისელი **ალენ ჰატჩინგსიც ახლავს.** შეხვედრას ნორვეგიელი მსაჯები მოემსახურებიან: **ტომ ჰენინგ ოვრებო, არილდ სანდეტი, გე-**

იხ. მე-4 გვ.

# გაზეთის დაბეჭდვამდე:

## ოლეგ ბლოხინს ქართული ღვინო და კერძები მოენატრა



**კიევიდან თბილისში გამომგზავრების წინ უკრაინის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია გამართა, რომლის ნაწყვეტებსაც დღეს გთავაზობთ.**

— ქართველებთან თამაში ცარიელი ტრიბუნების წინ მოგვიწევს. უმაყურებლოდ ფეხბურთი — ფეხბურთი არ არის. რას ვიზამთ. ჩვენ გამარჯვების მოპოვებისათვის უნდა ვიბრძოლოთ. თუ გავიმარჯვებთ, პრაქტიკულად მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავდივართ და ეს იქნება უკრაინული ფეხბურთის კოლოსალური წარმატება, — თქვა ოლეგ ბლოხინმა.

◆ ***დიდ ფეხბურთში თქვენი დებიუტი 1969 წელს შედგა თბილისში. რას გაიხსენებდით სასიამოვნოს თბილისის „დინამოსთან“ გამართული თამაშებიდან? რა უფრო გიყვართ ქართული სამზარეულოდან?***

— ქართული სამზარეულო ძალიან ჰგავს ბერძნულს. მე თითქმის ყველანაირ კერძს მივირთმევ. ქართული ღვინოც ძალიან მიყვარს. მახსოვს ჩემი სადებიუტო მატჩი 1969 წელს. ბევრი მეგობარი მყავს თბილისში. ამ ქალაქში სტუმრობა ყოველთვის მიყვარდა. მაშინ სხვა დრო იყო. ახლა საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და მაინტერესებს რა შეიცვალა იქ.

## 54 მილიონადაც არ ჰყიდის

მაიკ ოუენის შეძენის შემდეგ „ნიუკასლის“ ხელმძღვანელობამ წინადადებით მიმართა კიდევ ერთ ესპანურ კლუბს – მადრიდის „ატლეტიკოს“, 54 მილიონი დოლარის საფასურად დაეთმო თავდამსხმელი ფერნანდო ტორესი. ესპანურმა მხარემ უარი განაცხადა ტორესის გაყიდვაზე. ერთი რამ ცხადია, რომ „ნიუკასლს“ სერიოზული სამომავლო მიზნები ამოძრავებს.



# ჩატეხილი ხიდი ქართულ ჭადრაკში

პირველი გვერდიდან

ჩავდებდი გარანტად, რათა საქართველოს იმიჯი არ შელახულიყო. გაბაშვილი დამპირდა საღამოს ხუთ საათამდე დაგიკავშირდებითო. არ დაურეკავს. სამაგიეროდ, დამიკავშირდა ერთი კაცი და მკითხა — გსურთ თუ არა, საქართველოს მოჭადრაკეთა გუნდები გაემგზავრონ ევროპის ჩემპიონატზეო... ვუპასუხე, ეს იყო ჩემი უმთავრესი ამოცანა. იმ კაცმა მირჩია გადადექი და ერთ საათში ფული იქნებაო... მეტი გამოსავალი აღარ მქონდა და ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ვაცნობე ჩემი გადადგომის შესახებ. გადის რამდენიმე საათი და თანხა გამოიძებნა... ვსვამ კითხვებს: რატომ არ გამოიძებნა საჭირო თანხა მანამდე? რატომ გამოიძებნა მაინცდამაინც ჩემი გადადგომის შემდეგ? აშკარაა, რომ ჩემს წინაალმდეგ შეთქმულება იყო და მე ვიცი, ვინ იყო ამით დაინტერესებული. გასაკვირი ის არის, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც გასამგზავრებლად საჭირო თანხის გამოყოფის შესახებ ინფორმაცია მიიღო, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ნინო გურიელი იყო. როგორ შეიტყო, შეგიძლიათ თავად მას ჰკითხოთ..."

ამ მომენტში ჟურნალისტები დაინტერესდნენ თუ ვინ უნდა ყოფილიყო კაცი, რომელმაც გურამ აბსანძეს გადადგომა ურჩია? ფედერაციის პრეზიდენტმა რატომღაც არ ისურვა ამ ადამიანის ვინაობის დასახელება. მხოლოდ აღნიშნა, რომ ის კაცი სპორტისა და კულტურის სამინისტროში მუშაობს. არადა, ასეთ კრიტიკულ მომენტში სჯობდა ყველაფერი ეთქვა, რითაც ყოველგვარი ეჭვიც მოიხსნებოდა. გურამ აბსანძემ ზემოაღნიშნულ „კაცთან" დაკავშირებით სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან დავით ნამგალაურთან და სპორტისა და კულტურის მინისტრთან გოკა გაბაშვილთან „გაგვაგზავნა", — იმათ შეგიძლიათ ჰკითხოთო.

ამის შემდეგ გურამ აბსანძემ ისაუბრა მისი მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში სასიკეთო მოვლენების შესახებ. მან სიამაყით აღნიშნა, რომ თბილისში ჩატარდა ისეთი მაღალი დონის სპორტული ფორუმი, როგორიც იყო ფიდეს კონგრესის სამუშაო სხდომა.

„ეს პოლიტიკური მოვლენაც იყო. მე საქართველოს პრეზიდენტს **მიხეილ სააკაშვილს** მივმართე და სწორედ მისი მხარდაჭერით მოხერხდა კონგრესის თბილისში გამართვა. ვერ გამიგია, რატომ უწოდებენ ოპონენტები ამ ღონისძიებაზე დახარჯულ თანხებს არამიზნობრივ ხარჯებს. სამინისტროსთანაც და დეპარტამენტთანაც შესაბამისი დოკუმენტები შევადგინეთ და თანხა ოფიციალურად გამოიყო."

გურამ აბსანძე აღნიშნავს, რომ ქართულ ჭადრაკში მისი მოსვლის დღიდან ფედერაციის მუშაობა გამჭვირვალე გახდა, ბუღალტერიაში ყველა ხარჯი სრულად არის ასახული. აბსანძეს აღიზიანებს ის, რომ მას უპირისპირდება ნინო გურიელი, რომლის ხელმძღვანელობის დროსაც, ბატონი გურამის მტკიცებით, ბევრი დარღვევებია დაფიქსირებული.

„მაგალითებს მოვიყვან: ქართულ საჭადრაკო სამყაროს შევპირდი, რომ მოვიზიდავდი 2000 დოლარს, რაც დაახლოებით 480 000 ლარია. 1 ივლისის მდგომარეობით, სპორტის დეპარტამენტიდან და სხვადასხვა მხრიდან (არენდის შემოსავლები, იჯარა და სხვ.) შემოგვივიდა 269 083 ლარი. თუ ექვს თვეში არენდის შემოსავალმა 48 000 ლარი შეადგინა, გურიელის პრეზიდენტობისას ერთი წლის განმავლობაში შემოსული თანხა 53 000 ლარი იყო. ტურნირებიდან 13 200 ლარი შემოვიდა, გურიელის დროს კი ერთი თეთრიც არ შესულა ბუღალტერიაში. მისი უამრავი ფინანსური დარღვევებიდან შემიძლია აღვნიშნო ის, რომ იმ პერიოდში გაიყიდა ჭადრაკის სასახლის საავენტილაციო და გათბობის სისტემები, რომელთა ღირებულება 150 000 დოლრაზე მეტია. სხვათა შორის, გურიელის პოსტიდან გადადგომა სწორედ ასეთი დარღვევების გამო მოხდა. ფედერაციაში შეიქმნა საგამოძიებო კომისია, რომელმაც ყველა დარღვევა დააფიქსირა (აბსანძემ ეს დოკუმენტიც წარმოგვიდგინა, რომელსაც ხელს აწერენ დავით გურგენიძე, თამაზ გიორგაძე და კახი ჩიგოგიძე).

დასაჭერად ჰქონდა საქმე და ამიტომ გადადგა. რაკი ქართული ჭადრაკის ერთიანობა მსურდა, ასეთ დარღვევებზე ყურადღება აღარ გამიმახვილებია, მაგრამ გურიელმა იძულებული გამხადა, დღეს ეს დოკუმენტები სამსჯავროზე გამოვიტანო და შესაბამის ორგანოებს გადავცე. მინდა სამართალდამცავებმა გამოიძიონ თუ ვინ არის ჩვენს შორის დამნაშავე".

მისი პრესკონფერენციიდან რამდენიმე მომენტს კიდევ აღვნიშნავთ: ბატონმა გურამმა გაიხსენა, რომ ნინო გურიელის იდეური მამა იყო აბსანძის დაუძინებელი მტერი **ედუარდ შევარდნაძე**. სიტყვა „იდეური მამა" აბსანძემ რამდენჯერმე გაიმეორა რუსთავი 2-ის ეთერშიც. თუმცა, წარსულის გახსენება, ცოტა არ იყოს, უხერხული იყო. უშეცდომო ადამიანი არ არსებობს, მაგრამ მისთვის წამდაუწუმ ძველი პოლიტიკური მრწამსის შეხსენება, უადგილოდ მოგვეჩვენა. თუმცა, აბსანძემ თავად იცის თავისი საქმე. გურიელმა აბსანძის რეპლიკას „იდეურ მამასთან" დაკავშირებით უპასუხა: „შევარდნაძეს გვერდით ვიდექი იმიტომ, რომ მას დიდი ამაგი აქვს ქართული ჭადრაკის წინაშე".

გუშინ ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს ნინო გურიელს, რომელმაც გვითხრა: „მე არანაირ კომენტარს აღარ ვაკეთებ, ტელევიზიით ყველაფერი ვთქვი, გავწყვიტე კავშირი ფედერაციასთან მანამ, ვიდრე გურამ აბსანძე და მისი თანაგუნდელები სათავეში იქნებიან. რაც შეეხება ცილისწამებას, ყველა ცილისმწამებელი დაისჯება."

რაც შეეხება გურამ აბსანძის მიერ მითითებულ კიდევ ერთ მისამართს (ხომ გვითხრა, დამრეკავი კაცის შესახებ შეგიძლიათ დავით ნამგალაურს ჰკითხოთო), ჩვენ გვსურდა, დავით ნამგალაურს გავსაუბრებოდით, მაგრამ იგი თბილისში არ აღმოჩნდა. ამიტომ გაზეთ „სპორტს" დავესესხებით, სადაც მისი კომენტარი გამოქვეყნდა. აი, ნამგალაურის განმარტებაც:

„სიმართლე გითხრათ, ასეთი აბსურდული, ყოვლად წარმოუდგენელი განცხადებების კომენტარის გაკეთების არავითარი სურვილი არ გამაჩნია. თქვენ თვითონ გახლდით მოწმე, თუ რა ვითარება იყო და რის ფასად შევძელით თანხის მოძიება. დეპარტამენტი ბატონ **ბადრი პატარკაციშვილს** ესესხა 58 ათასი ლარი. სესხის პირობები, მიმართვა და დოკუმენტი, ჩვენთან ინახება და შეგიძლიათ იხილოთ. ხელშეკრულება გამგზავრებამდე ორი საათით ადრე გაფორმდა და როგორ გგონიათ, მოვლენათა ასეთი განვითარება წინასწარ რომ ყოფილიყო დაგეგმილი. ამდენს ვიწვალებდით? ბატონ გურამს ურჩევნია იმ პიროვნების სახელი დააკონკრეტოს, ვინც გადადგომა მოითხოვა. წინაალმდეგ შემთხვევაში, ტყუილთან გვექნება საქმე და სიმართლე გითხრათ, ასეც არის".

**თენგიზ ჩოგანიძე.**

## მძლეოსნობა. ვიქტორინა

**1. სიგრძეზე ხტომაში ჯესი ოუენსის რეკორდი მხოლოდ 1960 წელს დაემხო. ვინ იყო ახალი რეკორდსმენი შედეგით 8,21?**

ა — ი. ტერ-ოვანესიანი (სსრკ)
ბ — რალფ ბოსტონი (აშშ)
გ — რობერტ მორისი (აშშ)

**2. ვინ გახდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი 5 და 10 კმ-ზე რბენაში 1956 წლის ოლიმპიადაზე?**

ა — ვლადიმერ კუცი (სსრკ)
ბ — ისჰან კოვაჩი (უნგრეთი)
გ — პიოტრ ბოლოტნიკოვი (სსრკ)

**3. ვის ეკუთვნის დღემდე მოქმედი მსოფლიოს რეკორდი 110 მ. თარჯრბენში?**

ა — დომინიკ არნოლდს (აშშ)
ბ — ლაჯი დუკურს (საფრანგეთი)
გ — კოლინ ჯექსონს (აშშ)

**4. ვინ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი მარათონში 1936 წლის ოლიმპიადაზე?**

ა — სო-რუ ნამი (იაპონია)
ბ — კი-ტეი სონი (კორეა)
გ — ედგარ ხარპერი (დიდი ბრიტანეთი)

**5. რომელ ოლიმპიურ თამაშებში გახდა უნგრელი ემრე ნემეტი ჩემპიონი უროს ტყორცნაში?**

ა — მე-14 თამაშებში
ბ — მე-15 თამაშებში
გ — მე-17 თამაშებში

პასუხები: 1-ბ, 2-ა, 3-გ, 4-ბ, 5-ა.

# თბილისის საკრებულოში სპორტი ხმამაღლა ქღერს...

თბილისის საკრებულომ 2005 წლის 7 თებერვალს მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომლითაც დამტკიცდა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, შეიტანა ცვლილებები და დამატებები. საკრებულოს ახალ დადგენილებაში თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი სპორტი. დღეს ვაგრძელებთ სპორტული სკოლებისთვის გამოყოფილი ხარჯების ნუსხას:

## ქ. თბილისის 2005 წლის საქალაქო ბიუჯეტით სპორტული ღონისძიებების ხარჯები

დანართი №2.8

| ხარჯების კოდები ფუნქციონალური კლასიფიკაციით | დასახელება | მომუშავეთა რიცხოვნობა (შტატ. ერთეული) | საერთო ხარჯები | მიმდინარე ხარჯები | შრომის ანაზღაურება | დამქირავებლის ანარიცხები | სხვა საქონელი და მომსახურება | კაპიტალური ხარჯები | მათ შორის: ძირითადი საშუალებების შეძენა | მათ შორის: საქრ. სამ. და შენობა ნაგებობების კაპიტალური რემონტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯების კოდები ეკონომიკური კლასიფიკაციით | | II | III | 01 01 00 | 01 02 00 | 04 01 00 | V | 04 01 00 | 04 03 00 |
| 08 02 08 | ველოსპორტსკოლა | 42 | 78,1 | 78,1 | 30,7 | 6,4 | 41,0 | 0,0 | | |
| 08 02 09 | საწყლოსნო სახეობების სპორტული სკოლა | 76 | 110,9 | 110,9 | 56,6 | 11,8 | 42,5 | 0,0 | | |
| 08 02 10 | რაგბის სპორტსკოლა | 32 | 71,3 | 69,8 | 28,8 | 6,0 | 35,0 | 1,5 | 1,5 | |
| 08 02 11 | კრწანისის კომპლექსური სკოლა | 60 | 339,3 | 135,3 | 42,4 | 8,9 | 84,0 | 204,0 | 4,0 | 200,0 |
| 08 02 12 | ოლიმპიური რეზერვების ფიგურული სრიალის სპორტული სკოლა | 67 | 131,2 | 131,2 | 58,5 | 12,2 | 60,5 | 0,0 | | |
| 08 02 13 | ტანვარჯიშის სახეობათა ბავშვთა და მოზარდთა სპეც. სპორტული სკოლა | 48 | 312,0 | 112,0 | 50,0 | 10,5 | 51,5 | 200,0 | | 200,0 |
| 08 02 14 | ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების კომპლექსური სპორტ. სკოლა | 69 | 370,8 | 165,8 | 66,0 | 13,8 | 86,0 | 205,0 | 5,0 | 200,0 |
| 08 02 15 | ბავშვთა და მოზარდთა წყალთა სახეობის სპორტული სკოლა | 27 | 184,4 | 184,4 | 27,0 | 5,6 | 151,8 | 0,0 | | |
| 08 02 16 | მინი ფეხბურთის სპეციალიზირებული სპორტული სკოლა | 27 | 54,2 | 54,2 | 21,7 | 4,5 | 28,0 | 0,0 | | |
| 08 02 17 | ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრი | 84 | 315,6 | 260,6 | 70,0 | 14,6 | 176,0 | 55,0 | 5,0 | 50,0 |
| 08 02 18 | თედიაშვილის სახ ოლიმპიური ჭიდაობის სახეობებში მზადების ცენტრი | 132 | 243,2 | 188,2 | 117,6 | 24,6 | 46,0 | 55,0 | 5,0 | 50,0 |
| 08 02 19 | ძიუდოს და საბრძოლო ხელოვნებათა სპორტული სკოლა | 5 | 49,7 | 49,7 | 4,7 | 1,0 | 44,0 | 0,0 | | |

გაგრძელება იქნება

# მეთერთმეტე...

*ქართული სპორტის ისტორიას სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტის უჩინარი მსახურნი და ამ სფეროს თავკაცები ერთობლივად წერენ. „ლელო" კი 1934 წლიდან აფიქსირებს ამ ისტორიას. ასე იქნება მომავალშიც.*

*ამჯერად გამოსაცემად მზადდება წიგნი „მეთერთმეტე"... რომლის ცალკეული თავების გამოქვეყნებას „ლელოში" ვაგრძელებთ.*

## არჩევანი...

როცა ამა თუ იმ პიროვნებას საჯარო სამსახურს სთავაზობენ, თავისთავად იგულისხმება, რომ შემთავაზებელმა უკვე გააკეთა არჩევანი და ახლა ჯერი იმაზეა, ვინც უკვე მოიაზრება ამ თანამდებობაზე. ამ უკანასკნელის გადასაწყვეტია დათანხმდეს თუ უარი თქვას.

სპორტის სახელმწიფო სტრუქტურის, კერძოდ, დეპარტამენტის ხელმძღვანელის სავარძელს კარგა ხანია ჩამოშორდა ანგრების მომხიბლაობა, ანუ ის აღარ ითვლება იმ თანამდებობად, სადაც კაცმა შეიძლება იშოვნო ფული. ამას წერტილი დაესვა ჯერ კიდევ მაშინ, როცა დეპარტამენტს კახი ასათიანი ედგა სათავეში. ასათიანმა დაამტკიცა, რომ მისთვის სპორტი რჩებოდა ცხოვრების შემადგენელ ნაწილად და პატრიოტიზმი იქცა ამ სფეროში მისი მოღვაწეობის მთავარ მოტივად. იგივე მიიღო მემკვიდრეობით ირაკლი მეძმარიაშვილმა.

„მთავარი ჩემთვის ის არის, რომ ვემსახურები ეროვნულ საქმეს, სპორტს და სპორტსმენს, გუნდს შეუძლია მსოფლიოს გააცნოს თავისი ქვეყანა, მისი ხალხი და ეროვნული ღირსებები. ამისთვის ღირს მსხვერპლის გაღება" — არაერთხელ უთქვამს ირაკლი მეძმარიაშვილს.

დამოუკიდებლობის მოპოვებას ბევრი რამ, რაც მანამდე განვითარების თითქმის უმაღლეს მწვერვალამდე იყო ამაღლებული, დაუნდობლად შეეწირა მსხვერპლად, მათ შორის, სპორტი. ადრე ამ სფეროს ხელმძღვანელს თავზესაყრელი დაფინანსების შიდარესპუბლიკური თუ საკავშირო დინებისთვის სწორი მიმართულების ძიებაში უნდა გამოეჩინა ორგანიზატორული ნიჭი. მერე კი ისეთი ხელმძღვანელი გახდა სანატრელი, ორგანიზატორულ ტალანტს თანხების მოძიებაში, ტრადიციების შენარჩუნებაში რომ გამოავლენდა.

მხოლოდ ოჯახს როდი სჭირდება ღირსეული მემკვიდრე. საქმესაც თუ გამოუჩნდება გონიერი და უნარიანი გამგრძელებელი, ეს საქვეყნო „მეორე ოჯახი" მშვიდად შეიძლება იყოს.

მინიშნებებით სახელდებოდნენ კახი ასათიანის მემკვიდრე შესაძლო კანდიდატურები. ირაკლი მეძმარიაშვილის სახელმაც სწორედ მაშინ გაიჟღერა პირველად. ბევრისთვის ეს პიროვნება კარგად იყო ცნობილი, ზოგს „ბურევესტნიკის" ხელბურთელთა საშუალო თაობის გუნდიდან ახსოვდა, ზოგს — კრწანისის გამგებლად მუშაობის პერიოდიდან, ზოგს — ქალაქის ვიცე-პრემიერობიდან, ერთხანს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიც იყო. უმრავლესობა მიესალმებოდა მის კანდიდატურას. თუმცა, როგორც ჩვენში წესად იქცა, ამ დანიშვნამაც გამოიწვია არაერთგვაროვანი რეაქცია, აგორდა შურნარევი ჭორიც კი.

ადამიანის საქმიან თვისებებსა და ორგანიზატორულ უნარზე უფრო მეტად, საქართველოში, პიროვნულ ღირსებებს უწევენ ანგარიშს. ტრადიციაა ასეთი. უდავოდ ბედნიერი დამთხვევაა, როცა ორივე მოთხოვნა ერწყმის და ავსებს ერთმანეთს, ქმნის პიროვნების ავტორიტეტს და მის საზოგადოებრივ სავიზიტო ბარათს. დიდი დრო სულაც არ იყო საჭირო საქართველოს სპორტული სამყარო დარწმუნებულიყო, რომ ქართულ სპორტში 2000 წლის 22 ნოემბერს სწორედ ასეთმა პიროვნებამ შეაბიჯა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის კაბინეტში.

... კახი ასათიანს მუშაობა უწევდა ქვეყანაში ურთულეს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში. ყველაფრის ნგრევა აყვანილი იყო სახელმწიფო პოლიტიკის რანგში. ნგრევა არა ახლის შენებისთვის, არამედ, პირადი ინტერესებისთვის, თანაც დაუზოგავად, მგლური მადით. გასაახლებელ — ჩასანაცვლებელი ნამდვილად არაფერი სჭირდა ქართულ სპორტს. იდეალური ვარიანტი ის იქნებოდა, ამ სფეროს მუშაობის სისტემა, გარკვეულ პერიოდში მაინც, ხელუხლებელი თუ დარჩებოდა. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ნგრევის ქარიშხალმა ყველაფერი თანაბრად მოსრა, დრომ ქართული სპორტის სასიკეთოდ ვერ იდროვა.

„მე წავალ"! არაერთხელ უთქვამს ჩემთვის კახი ასათიანს. მაგრამ თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, რაოდენ პარადოქსიც უნდა იყოს, ის რჩებოდა.

სიდნეიში ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში იყო შესული. პირდაპირ უნდა ითქვას, სპორტისადმი დამოკიდებულებაში ხელისუფლების პოზიცია, კვლავ გასაოცრად ინერტული, მეტიც, აშკარად ჩანდა, რომ ნიჰილისტური რჩებოდა.

პრეზიდენტთან შეხვედრას კახი ასათიანი კიდევ ერთხელ ითხოვს. ხვდება კიდეც. მისი სამსახურიდან განთავისუფლების განცხადება პრეზიდენტმა შევარდნაძემ ამჯერადაც არ დააკმაყოფილა. შეთანხმდნენ, რომ საკითხი განიხილებოდა ოლიმპიური თამაშებიდან დაბრუნების შემდეგ. ალბათ, ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება.

ნაკლებად სარწმუნო იყო, რომ ჩვენი ოლიმპიელები სასწაულს მოახდენდნენ სიდნეიში გამართულ თამაშებში. თუმცა, რაღაც იმედები ნამდვილად იყო. ფაქტობრივად კი, ის მოხდა, რომ მოპოვებული მედლების რაოდენობის მიუხედავად, კრახი განვიცადეთ. ის ბრინჯაოს 6 მედალი, ძველი საამაყო ტრადიციების ფონზე, მხოლოდ აჩრდილად აღიქმებოდა.

წინამორბედ ხელმძღვანელთა ნალოლიავები მემკვიდრეობის ჩაბარებამ უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა ირაკლი მეძმარიაშვილს. მართალია, მისთვის, როგორც ითქვა, სულაც არ იყო სპორტი უცხო სამყარო, მაგრამ ახლა სულ სხვა ფუნქცია არგუნა ბედმა. გამჭრიახი, უნარიანი მესაჭე ქართულ სპორტს მეტწილად არასდროს დაჰკლებია. ახალი მემკვიდრე, როგორც თავად ყოფილი სპორტსმენი, მათი მუშაობის სტილს კარგად იცნობდა, ზოგს — გადმოცემით, ზოგს — საკუთრივ. ცხადია, იყო განსხვავება, თანაც ძალიან დიდი, საბჭოთა პერიოდის და პოსტ საბჭოთა სისტემას შორის, მაგრამ არის ღირებულებები, რომელზეც საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაცია ნაკლებად ახდენს გავლენას. ეს მეტწილად პიროვნების ადამიანურ თვისებებს ეხება.

არანაირად არ კნინდება მემკვიდრის ღირსება თუ ის ჯეროვნად დააფასებს და პატივს მიაგებს მასზე უწინ მოღვაწეთა ამაგს. სხვა რომ არაფერი, ეს, უბრალოდ, ადამიანური მოვალეობაა, თანაც ღირსებასთან წილნაყარი.

ერთ დღეს, შევიდა თუ არა სამუშაო კაბინეტში, ირაკლი მეძმარიაშვილმა უმალვე უხმო დეპარტამენტის ყველაზე სტაჟიან თანამშრომლებს. დავალება არ იყო რიგითი სამუშაო ხასიათის. თავმჯდომარემ სპორტის სახელმწიფო სტრუქტურაში ყველა ხელმძღვანელის მონაცემების და მათი პორტრეტების მოძიება მოითხოვა. დავალება, ცხადია, ოპერატიულად შესრულდა. ამ ადამიანების პორტრეტები რიგითობით, სპორტში მათი მოღვაწეობის ქრონოლოგიურადაა ჩამწკრივებული დეპარტამენტის იმ სართულზე, სადაც თავმჯდომარის კაბინეტი და სააქტო დარბაზია განთავსებული. შთამბეჭდავია დედააზრი — დაფასება და უწყვეტი კავშირი წარსულთან.

სრული ოთხი წელიწადი ირაკლი მეძმარიაშვილმა ქართული სპორტის სამსახურში, მართლაც რომ, თავდადებული და თავდაუზოგავი რუდუნებით გაატარა. ვინც იმ წლებში ყველაფრისადმი დამკვიდრებულ საყოველთაო ნიჰილიზმს ვერ გააცნობიერებს, გაუძნელდება წარმოიდგინოს ამ მავნე მოვლენის წინაალმდეგ ქართული სპორტის თავკაცის თითქმის ყოველდღიურ შეტევის მნიშვნელობა. ეს არ არის ლიტონი სიტყვები. ყველაფერი დაფიქსირებულია. „დაწერილი კი, ნაჯახითაც არ ამოიჩეხება". ვინც მოისურვებს, ამას კი უთუოდ გააკეთებს შთამომავლობა, გაერკვევა თუ ვინ, ვინ იყო ძნელბედობის ჟამს და რისთვის იღვწოდა, დარწმუნდება და გაოცდება კიდეც თუ როგორი პირდაპირობით ამხელდა ხელისუფლებაში თავაჩენილ მანკიერებას და იბრძოდა ქართული სპორტის საკეთილდღეოდ ირაკლი მეძმარიაშვილი.

**თენგიზ გაჩეჩილაძე.**

გაგრძელება იქნება.

დასაწყისი იხ. „ლელო" №67.

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №27 (41) სექტემბერი. 2005 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა კარატისტთა მორიგი გამარჯვება

## 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 20 ბრინჯაო თურქეთის საერთაშორისო ტურნირიდან

ცხელი ზაფხულის მიწურულს საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ბავშვთა და მოზარდთა ნაკრებმა თურქეთში, ქალაქ არხავში, შავი და კასპიის ზღვების ქვეყნების საერთაშორისო ჩემპიონატზე იასპარეზა. „თურქებმა არხავის საერთაშორისო ჩემპიონატი ბავშვთა კატარატეს ნამდვილ ზეიმად აქციეს“, – ასე განაცხადა არხავიდან დაბრუნებულმა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ.

ალნიშნული ჩემპიონატი რიგით მეოთხე იყო, სადაც შავი და კასპიის ზღვების ყველა ქვეყნის თექვსმეტწლამდელთა ეროვნული ნაკრები გუნდები ასპარეზობდნენ. ჩემპიონატი საერთაშორისო დონისთვის არნახულად ორგანიზებული იყო და არც საერთო სპორტული კლასი დაიწუნებოდა ბავშვთა და მოზარდთა შორის. როგორც ორგანიზატორებმა და ქვეყნების წარმომადგენლებმა ალნიშნე, ამ ტურნირზე ყველა ქვეყანამ პირველი ნომრები ჩამოიყვანა. სწორედ ამიტომაც იყო, რომ თითოეული ორთაბრძოლა არაჩვეულებრივი სანახავი იყო. შეჯიბრი სხვადასხვა წონით და ასაკობრივ კატეგორიებში



ჩატარდა. არხავის საერთაშორისო ტურნირს ესწრებოდა თურქეთის სპორტის მინისრი და ქალაქის ხელმძღვანელობა, რომლებმაც გამარჯვებული სპორტსმენები ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით დააჯილდოვეს. ტურნირზე საქართველოს ნაკრებიდან საუკეთესო სპორტსმენებად გოგონებს შორის ქეთევან გოგბერაშვილი ალიარეს, რომელმაც კატაშიც და კუმიტეშიც პირველი ადგილი დაიკავა. ხოლო ვაჟთა შორის, გიგა ნაცვლიშვილი დასახელდა საუკეთესო კარატისტად. ნაცვლიშვილმა თავის წონით კატეგორიაში გამარჯვების შემდეგ, გუნდურ კუმიტეში მესამე ადგილისთვის გადამწყვეტი ბრძოლა მოიგო, რის შედეგადაც საქართველოს ნაკრებმა გუნდურ კუმიტეში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ასევე დაჯილდოვდნენ გამარჯვებული სპორტსმენების მწვრთნელები

ვაჟა კრიჭაშვილი და გელა პავლიაშვილი. თურქეთის კარატეს ფედერაციის პრეზიდენტმა სპეციალური თასი შავი და კასპიის აუზის ქვეყნების ვიცეპრეზიდენტს ოტარ გრძელიშვილს.

ისევ ქართული კარატეს წარმატებას დავუბრუნდეთ: ჩვენმა სპორტსმენებმა ამჯერადაც ღირსეულად იასპარეზეს და ოთხი ოქრო, ორი ვერცხლი და ოცი ბრინჯაო მიუმატეს ქართული კარატეს წლევანდელ ისედაც მდიდარ ნადავლს. ქართული კარატეს მესვეურებს ამჯერადაც ნამდვილად საამაყოდ აქვთ საქმე, რომ საერთო გუნდურ ჩათვლაში ქართული კარატეს ეროვმულმა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. როგორც საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ განაცხადა „როგორც ალვნიშნე, შავი და კასპიის ზღვების საერთაშორისო ტურნირი ერთერთი რთული და ძნელად მოსაგები ტურნირია. ამიტომაც, ამ ტურნირში მონაწილე კარატისტები თავისი ქვეყნების პირველი ნომრები იყვნენ და, აქედან გამომდინარე, არც თუ ისე ადვილი მოსაგები იყო ეს ტურნირი. ჩვენმა ბიჭებმა და გოგონებმა კიდევ ერთხელ ასახელეს საქართველო და ქართული კარატეს სკოლა“.





კარატეს ეროვნული ნაკრების ახალმა წევრებმა პირველივე შეჯიბრზე ისახელეს თავი და შემდეგ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვეს.

„მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ნამგალაურს. იგი, როგორც ყოველთვის, ახლაც გვერდში დაგვიდგა და რიგი პრობლემები გადაგვაჭრევინა. ასევე დიდი მადლობა ძეგლთა დაცვის, კულტურისა და სპორტის მინისტრიეს მოადგილეს, ბატონ თამაზ თევზაძეს, ვიზების მილებაში გაწეული დახმარებისთვის და, დიდი მადლობა თურქეთის საკონსულოს, რომელმაც გულისხმიერება გამოიჩინა, შელავათი გაგვიწია და ჩვენი სპორტული ნაკრები სრული შემადგენლობით გაემგზავრა არხავის საერთაშორისო ტურნირზე“, – ალნიშნა სკეფ-ის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ.



ეროვნული ბიბლიოთეკა





*შედეგები:*

ქეთევან გოგბერაშვილი I ადგილი კატა-კუმიტე; თენგიზ კვერცხიშვილი I ადგილი, კატა; გიგა ნაცვლიშვილი I ადგილი, კუმიტე; ხვიჩა ჯახაია II ადგილი კატა; ნანა დარასელია II ადგილი კუმიტე; ეთერ გავაშელი, III ადგილი კატა; დათო დარჩია, III ადგილი კუმიტე; სალომე მითაიშვილი, III ადგილი გუნდ. კუმიტე; მაია თაყაძე, III გუნდ. კუმიტე; თათია თურქია, III გუნდ. კუმიტე და ინდ. კუმიტე; გიორგი ბერიშვილი, III ადგილი, კუმიტე; გიორგი კვარაცხელია, III ადგილი კუმიტე; გოგა ხუფენია, III ადგილი კუმიტე; ტატო ღვინიაშვილი III ადგილი, კუმიტე; ამირენ ლაგვილავა, III ადგილი, კუმიტე; არჩილ თოფურია, III ადგილი კატა; ჯონი თორია, III ადგილი კატა; კირკიტაძე ირაკლი, III ადგილი გუნდ. კატა; ალექსანდრე გოგოლაშვილი, III გუნდ.კატა; ლაშა მინდიშვილი, III ადგილი, გუნდ. კატა; ნიკა მირცხულავა, III ადგილი კატა; ჰენრი ვეკუა, III ადგილი კუმიტე; დავით კაიშაური, III ადგილი კუმიტე; დევი ხაჯიშვილი, III ადგილი კატა-კუმიტე; ლაშა გრძელიშვილი, III ადგილი კატა-კუმიტე;







ნუგზარ ჭიაბერაშვილი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

# წინ ინგლისის ღია ჩემპიონატია

სპორტულ ლაშქრობა-ასპარეზობას საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია მთელი შემართებით აგრძელებს და შემოდგომას ინგლისის საერთაშორისო ღია ჩემპიონატით დაიწყებს. 3-4 სექტემბერს ინგლისის დედაქალაქი ლონდონი უმასპინძლებს ღია ჩემპიონატს.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს კახა ბასილია, იმედოვნებს, რომ არც ამ ტიტულოვანი შეჯიბრიდან არ დაბრუნდებიან ხელცარიელები და საერთო ყულაბაში კიდევ რამოდენიმე მედალს ჩააგდებენ.

# 9 – 11 სექტემბერს ქართული კარატეს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ

ინგლისის ღია ჩემპიონატის შემდეგ ქართული კარატეს ეროვნული ნაკრები სტამბულის რიგით მეხუთე ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება. როგორც კარატეს გულშემატკივრებს მოეხსენებათ, ეს ევროპის ჩემპიონატი ტრადიციულ კარატეში ერთერთი პრესტიჟული ჩემპიონატია სპორტის ამ სახეობათა ევროპის ჩემპიონატებს შორის. ამ ჩემპიონატზე საშუალოდ 35 ქვეყანა იყრის თავს, სადაც საქართველოს კარატეს ნაკრები ასკაციანი დელეგაციით მიემგზავრება მორიგი გამარჯვების მოსაპოვებლად.

სტამბული ევროპის კარატისტებს 9-10 და 11 სექტემბერს უმასპინძლებს. როგორც სტამბულის ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებს, წელს თითქმის ევროპის ყველა ქვეყანა იასპარეზებს. სხვათა შორის, ევროპის ქვეყნების კარატეს ეროვნული ნაკრებები პირველ ნომრებს გამოიყვანს ტატამზე. თანაც მათი გვარ-სახელები არაერთხელ ყოფილა ევროპის ჩემპიონთა სიაში.

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

空手道

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, www.karate.ge საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ



# „სამთო – სამაშველო სამსახურის არარსებობა საქართველოში ტურიზმს ცუდ მდგომარეობამდე მიიყვანს“

ბოლო თვენახევრის განმავლობაში მწვერვალ უშბაზე უბედური შემთხვევები მომრავლდა. პირველ შემთხვევას ქართველი მთამსვლელების ზაალ ქიქოძისა და მერაბ ხაბაზის სიცოცხლე ემსხვერპლა, შემდეგ კანადელი პიტერ ევერეტი დაიღუპა, რამდენიმე დღის წინ კი პოლონელი მთამსვლელები ნაპრალში ჩავარდნენ და მათი ძებნა ახლაც მიმდინარეობს. აგრეთვე გავრცელდა ინფორმაცია იაპონელი მთამსვლელის დაღუპვის შესახებ, თუმცა, ჯერჯერობით ეს ფაქტი არ დადასტურებულა. ამ მოვლენების კომენტირება „ინტერპრესნიუსმა“ ცნობილ და გამოცდილ მთამსვლელს **გია თორთლაძეს** სთხოვა.

გია თორთლაძე 8 ათას მეტრზე მეტი სიმაღლის ხუთ მწვერვალზე, საერთო ჯამში, 7-ჯერ არის ნამყოფი, მათ შორის ორჯერ, მან მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი — ევერესტი (8848 მეტრი) დაიპყრო.

***— ბოლო დროს, უშბაზე ძალიან მომრავლდა უბედური შემთხვევები. თქვენი აზრით რა არის ამის ძირითადი მიზეზი?***

— თითოეული უბედური შემთხვევა კონკრეტულ ადამიანთან არის დაკავშირებული და ამიტომ ცოტა ძნელია ამგვარ კონტექსტში საუბარი, მაგრამ უშბაზე, თუ ნებისმიერ სხვა მთაზე, ერთ თვეში სამი უბედური შემთხვევის დაფიქსირება არ ნიშნავს, რომ განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ალპებში, წელიწადის განმავლობაში 600-დან 800 კაცამდე იღუპება. მათ შორის, პარაპლანისა და სათხილამურო ალპინიზმის (მწვერვალებიდან რომ ეშვებიან) მოყვარულებიც არიან. მართალია, ალპებში საქართველოზე გაცილებით მეტი ხალხი დადის, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელები. ბოლო ერთ თვეში უშბაზე მომხდარი 3 უბედური შემთხვევა იმაზე მიანიშნებს, რომ წლეულს, საქართველოში ამ სფეროს მოყვარული უფრო მეტი ხალხი ამოძრავდა და შესაბამისად ტრაგიკული შემთხვევაც მეტია. თანაც, უშბა ძალიან რთული მთა არის. გარდა ამისა, მიმდინარე წელი, საკმაოდ არაორდინარულია, მით უმეტეს, აზიაში მომხდარი ცუნამის შემდეგ, რომელმაც ამინდის ძალიან დიდი ცვლილებები გამოიწვია. წლეულს ვიყავი ჰიმალაის მთებში, სადაც აბსოლუტურად შეცვლილია მდგომარეობა, ამინდი, საერთოდ, არ იყო. მთელ ჰიმალაებში სულ რამდენიმე ასვლა განხორციელდა, უამრავი ხალხი უკან დაბრუნდა და ბევრი უბედური შემთხვევაც მოხდა. ყოველივე ეს გავრცელდა კავკასიონზეც. სადაც მარშრუტები ასევე არაორდინარულ მდგომარეობაში იყო. ერთის მხრივ, ამით შეიძლება აიხსნას ჩვენთან მომრავლებული შემთხვევები. არ ვიცი რამდენად პროფესიონალები იყვნენ ის უცხოელები, რომლებიც უშბაზე ახლახან დაიღუპნენ, მაგრამ ქართველი მთამსვლელები — ზალიკო ქიქოძე და მერაბ ხაბაზი ძალიან გამოცდილები იყვნენ. მათთან დაკავშირებული ტრაგედიის შეფასებისგან კი თავს შევიკავებ, რადგან ზალიკო ჩემი ნათლია გახლდათ, ხოლო მერაბი — მეგობარი და მთლად ობიექტური, ალბათ, ვერ ვიქნები.

***— არაორდინარული წლის ფაქტორმა, შესაძლოა, ნამდვილად იმოქმედა, მაგრამ უშბაზე ასვლები რომ არაორგანიზებულად ხორციელდება, ესეც ფაქტია...***

— როცა ამბობენ, რომ ამდენი შემთხვევა არ ყოფილა, იქვე ისიც უნდა ითქვას, რომ 5 წლის წინათ უშბაზე არავინ დადიოდა. სვანეთში არსებული ძალიან ცუდი კრიმინალური მდგომარეობის გამო. უცხოელები, საერთოდ, არ ჩამოდიოდნენ. წლეულს კი მთამსვლელთა გარკვეული მოზღვავება მოხდა, რამაც შესაბამისად გაზარდა ტრაგედიების რიცხვი. მოკლედ, უამინდობა და დანარჩენი ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა, თუმცა, აქ უმნიშვნელოვანესი მომენტია სამაშველო სამსახურის არქონა. დღეს შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ საქართველოში სამთო-სამაშველო სამსახური არ არსებობს, რაც ჩვენს ტურიზმს და მის განვითარებას ძალიან ცუდ მდგომარეობამდე მიიყვანს. ნებისმიერ უცხოელს უწინარესად სჭირდება გარანტია. მაგალითად, ჩინეთში სამთო-სამაშველო სამსახური არ არსებობს, არც ვერტმფრენებს იყენებენ და შესაბამისად, ჩინეთში ჩასვლას მთამსვლელები უფრო ერიდებიან. ჩვენთან ვერტმფრენები კი არის, მაგრამ არ არის მუდმივად მობილიზებული სამაშველო ჯგუფები, რომლებსაც მუდმივად უხდიან ხელფასს, აქვთ კავშირისა და სპეციალური მედიკამენტების საშუალება, ჰყავთ პროფესიონალი მთამსვლელი — ექიმები. აქედან გამომდინარე, მცირე პრობლემასაც კი მთაში დიდი გართულება მოჰყვება.

***— ვინ უნდა იზრუნოს ყოველივე ამის მოწესრიგებაზე?***

— შესაბამისმა ფედერაციებმა, თუმცა, ხაზი მინდა გავუსვა, რომ საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარეს **შოთა მირიანაშვილს** უკვე მომზადებული აქვს მთაში მოძრაობის წესები, რომელიც აქამდე არ არსებობდა. მთელი სტრუქტურა, სისტემა უნდა იყოს მობილიზებული. როდესაც ადამიანი ჩამოდის, აუცილებლად უნდა მოხდეს მისი რეგისტრაცია, თუნდაც სიმბოლურ ფასად. ამით გვეცოდინება, ვინ სად წავა. ამავდროულად, უნდა მოხდეს სამაშველო ჯგუფების რეგისტრაციაც. ისინი დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებად უნდა დაიყონ. ცალკე უნდა იყოს ყაზბეგის რაიონის, ცენტრალური კავკასიონის, სვანეთის, იმავე უშბის რაიონის სამაშველო სამსახურები. ყველაფერი ეს რომ მოწესრიგდება, მსხვერპლის რიცხვიც მინიმუმამდე შემცირდება და მეტი უცხოელიც ჩამოვა. კი ბატონო, არიან გიჟი მთამსვლელებიც, რომლებიც, პირიქით, ველურ პირობებში ამჯობინებენ მწვერვალების დაპყრობას, მაგრამ გაცილებით მეტია ისეთი, მოწესრიგებული სამაშველო სამსახურების არსებობა რომ იზიდავს. ტურიზმის ინდუსტრიას საშუალო დონის ტურისტები და მთამსვლელები ანვითარებენ, რადგან ისინი უმაღლესი დონის მთამსვლელებზე გაცილებით მეტნი არიან. მათ პირობები უნდა შევუქმნათ. დღეს კი ეს პირობები ნულის ტოლია. საბჭოთა კავშირის დროს უკრძალავდნენ კიდეც მარტო უშბაზე ასვლას, თუკი ქვემოდან შესაბამისი ჯგუფი არ გიცავდა. კავშირზე გასვლას სამი-ოთხჯერ რომ გამოტოვებდი, სამაშველო ჯგუფი აღარაფერს ელოდებოდა, მაშინვე დასახმარებლად მოდიოდა. ამიტომ, იმ ფედერაციებმა, რომლებიც, კაცმა არ იცის რით არიან დაკავებულები, შენობებზე დავის ნაცვლად, სჯობს, სათანადო სტრუქტურები ჩამოაყალიბონ და მერე მოსთხოვონ მთავრობას დაფინანსება. თუ საჭირო გახდა, შესაძლოა, ეს საკითხი პრეზიდენტის დონეზეც გადაწყდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავრჩებით ამ ვაკუუმში და შესაძლოა, ტურისტები, საერთოდ, აღარ გვესტუმრონ.

***— დღეისათვის რა დონეზე ტარდება სამაშველო სამუშაოები?***

— სვანეთში მეგულება 10-მდე მთამსვლელი, რომლებსაც, თუკი დროულად გადაუხდიან ხელფასს, შეუქმნიან სათანადო პირობებს, მისცემენ საჭურველს და ტრანსპორტს, ისინი მზად არიან ყველაფრისთვის. თუმცა, ამ ხალხს 5-10 წელიწადში ასაკი მოემატებათ და ვეღარ შეძლებენ მაშველად ყოფნას. ამიტომ, შესაბამისი სკოლაც უნდა შეიქმნას, რომელშიც მუდმივად მომზადდება კადრები.

***— თქვენი აზრით, რამდენად მოქმედებს მთლიანად ქვეყნის იმიჯზე ზემოაღნიშნული ფაქტები?***

— რა თქმა უნდა, ძალიან ცუდად, სამაშველო სამსახურის არარსებობა ქვეყანაში, რომლის მთელი ჩრდილოეთ საზღვარი მთებით არის გარშემორტყმული, კავკასიონის მთელი სამხრეთი ნაწილი კი მის ტერიტორიაზეა, მის დაბალ განვითარებაზე მეტყველებს. თუ ამ პრობლემას დროულად არ მივხედეთ, შეიძლება, უარესად შემოგვიტრიალდეს.

**ინტერპრესნიუსი**

**„ლელოს“ რედაქციისაგან: საქართველოში სტაბილურობამ უამრავ ტურისტს მისცა შესაძლებლობა ეწვიონ ჩვენს ქვეყანას. ბევრი მათგანი სვანეთში მიემგზავრება მართლაც ამ უნიკალური კუთხის სანახავად. სტუმართა შორის არიან გამოცდილი თუ მოყვარული მთამსვლელები, რომლებიც თვითნებურად გეგმავენ ლაშქრობებს კავკასიონის მწვერვალებზე. როგორც ვნახეთ, რამდენიმე ასეთი ლაშქრობა ტრაგიკულად დასრულდა. დაიღუპნენ ქართველი ალპინისტებიც.**

**წესრიგი, მართლაც რომ დასამყარებელია...**

## სექტემბრის კალენდარი

### ძირითადი საერთაშორისო სპორტული ასპარეზობები

**02.09 – 11.09 ფრენბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. იტალია-სერბეთი

**02.09 – 11.09 კალათბურთი.** ევროპის ჩემპიორნატი. ქალები. თურქეთი.

**04.09 ავტოსპორტი.** ფორმულა 1. იტალიის გრან-პრი. მონცა

**04.09 მძლეოსნობა** IAAF-ის „ოქროს ლიგა“. VI ეტაპი. „ISTAF 2005::“. ბერლინი (გერმანია).

**05.09 – 06.09 ძიუდო.** IJF-ს კონგრესი, ქაირო (ეგვიპტე).

**08.09 – 11.09 ძიუდო.** მსოფლიო ჩემპიონატი, ქაირო (ეგვიპტე)

**09-09 – 10.09 მძლეოსნობა.** IAAF-ის გრან პრის ფინალი. ფინალი. მონაკო.

**11.09 ავტოსპორტი.** ფორმულა 1. ბელგიის გრან პრი. სპა

**11.09 ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. XV ეტაპი — „Chicagoland“

**12.09 – 18.09 ველოსპორტი.** Ptotour-ის სერია. პოლონეთის ტური

**13.09 – 24.09 ჭადრაკი.** იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი. ბუდვა (სერბეთი)

**15.09 – 25.09 კალათბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. სერბეთი

**16.09 – 25.09 ფრენბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ზაგრები (ხორვატია)

**17.09 – 18.09 ჩოგბურთი.** ფედერაციის თასი. ფინალი

**18.09 მოტოსპორტი.** მს. ჩემპიონატი. XII ეტაპი — იაპონიის გრან პრი. მოტეგი.

**21.09 – 25.09 ველოსპორტი.** მს. ჩემპიონატი. საგზატკეცილო ველორბოლა. მადრიდი (ესპანეთი)

**22.09 – 25.09 მაგიდის ჩოგბურთი.** Protour-ის სერია. იაპონიის ღია პირველობა. იოკოჰამა (იაპონია)

**23.09 – 25.09 ჩოგბურთი.** დევისის თასი. 1/2 ფინალი

**24.09 ავტოსპორტი.** კარტის სერია. XI ეტაპი. ლას ვეგასი (აშშ)

**25.09 ავტოსპორტი.** ფორმულა 1. ბრაზილიის გრან-პრი. ინტერლაგუში

**25.09 ავტოსპორტი.** ინდიკარის სერია. XVI ეტაპი — „Watkins Gltn international“. უოტკინს გლენი (აშშ)

**25.09 მოტოსპორტი.** მს. ჩემპიონატი. XIII ეტაპი — მალაიზიის გრან პრი. სეპანგი.

**27.09 – 02. 10 ჭიდაობა.** მს. ჩემპიონატი. თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილი. ბუდაპეშტი (უნგრეთი)

**30.09 – 02.10 ავტოსპორტი.** რალი. მს. ჩემპიონატი. XIII ეტაპი. იაპონია.

# ტკივილიანი სიამაყე...



უპირველესად მინდა იმ ადამიანთა რიცხვს, შევუერთდე, ასეთი კი ძალიან ბევრია, ვინც სიამოვნებით და მადლიერებით შეიტყო, რომ **კახი ასათიანის** უახლოესი თანამებრძოლები აპირებენ გამოსცენ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნი. პირადად მე ამის შესახებ **ვალერი ჩოლარიამ** მაცნობა. თხოვნაც დაურთო: „ლელოს“ ძველ ნომრებში მოგვეძია და ამოგვეწერა გამონათქვამები და შეფასებები კახი ასათიანზე, როცა იგი საფეხბურთო შემოქმედების ზენიტში იყო. ამასთან, კარგი იქნებოდა, რაიმეს თავად თუ დავწერდი ზემოხსენებული წიგნისთვის.

თხოვნა მივიღე. ოღონდ ეგაა, რთული ამოცანის წინაშე დავდექი. ადამიანზე, რომლის მთელმა ცხოვრებამ შენს თვალწინ გაიარა და საყოველთაო აღიარებას იმსახურებდა, „მოკლედ თქმით“ ვერ შემოიფარგლები. პასუხისმგებლობას კი, გარკვეულწილად, მუდამ შიში სდევს თან. შიში იმისა, ვაითუ სათქმელს რაიმე დააკლო. ამას, რა დასამალია, დაზღვევისთვისაც ვამბობ.

თავს ვთვლი ბედნიერად, რომ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთა თვალთახედვის არეში კახი ასათიანი მუდამ იყო მწვანე მინდორზე გამოჩენიდან კარიერის და ცხოვრების დასასრულამდე. მეტიც, თითქმის 12 წელიწადი ამ სტრიქონების ავტორს კახი ასათიანთან ერთი საქმის — ქართული სპორტის ერთად მსახურება მაკავშირებდა. როგორც ჟურნალისტს კი, მასთან საქმიანი ურთიერთობა ყოველთვის მქონდა მანამდეც.

ის პერიოდი, როცა კახი ასათიანი დამოუკიდებელი საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ჩაუდგა სათავეში, ძნელბედობის კიდევ ერთ ჟამად მოიხსენიება ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. სამოქალაქო ომისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევის პერიოდში შეენარჩუნებინა ქართული სპორტი და, შეძლებისდაგვარად, მისი საამაყო ტრადიციები — აი, რა ურთულესი ამოცანა იდგა კახი ასათიანის წინაშე. მისი განათლება, ინტელექტი, სპორტში მუშაობის გამოცდილება, ჰარმონიულად შეზავებული საყოველთაო სიყვარულთან და უდიდეს ავტორიტეტთან, დიდ სტიმულს აძლევდა დარგში დასაქმებულ ადამიანებს, წარმატებების რწმენას მატებდა მათ.

ალბათ გაჭირდება ვინმემ გაიხსენოს ისეთი პიროვნება, ერთნაირად თვალსაჩინო წარმატება რომ ჰქონოდა, როგორც სპორტში, ისე საზოგადოებრივ სარბიელზე. კახი ასათიანს ეს ჰქონდა.

ადამიანს, მით უფრო, ხელმძღვანელს, ღირსებად უთვლიან თუ ის წვრილმანებს არაა გამოდევნებული. კახი ჭეშმარიტად სურგრძელი, გამორჩეულად მაღალი ზნეობის მატარებელი პიროვნება გახლდათ. არაერთხელ შევსწრებივარ, როგორი სიდინჯე გამოუჩენია კრიტიკულ სიტუაციაში, როგორც ხელმძღვანელს. ვინც დამსახურებულად მოელოდა რისხვას, გაოცებული დარჩენილა მისი მიმტევებლობით. მაგრამ ღალატს და ორპირობას ვერავის პატიობდა. პრინციპულიც იყო, ცხადია, მომთხოვნიც, შემტევიც, მაგრამ არასოდეს უსამართლოდ მკაცრი. მოგისმენდა, ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას კი სწრაფად მიიღებდა, როგორც ეს საფეხბურთო მინდორზე სჩვეოდა.

ხშირად ბევრს უნახავს კახი ასათიანის მისაღებში ჩვენი ვეტერანი სპორტსმენები. ყველამ იცოდა რისთვის აკითხავდა ეს ხალხი ქართული სპორტის თავკაცს. არავის ისტუმრებდა გულნატკენს.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში როგორღაც თუ მაინც შეინარჩუნა ქართულმა სპორტმა საკუთარი თავი და ტრადიციები, უდიდესი წვლილი ამაში კახი ასათიანს მიუძღვის როგორც ბიზნესმენს. მაშინ თითქმის წესად იქცა საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩვენი გუნდების და სპორტსმენების, არც თუ იშვიათად, სპორტის თავკაცის პირადი შემოსავლების ხარჯზე მივლინება. მისი კუთვნილი ავიახაზებით სპორტსმენთა უსასყიდლოდ მგზავრობას ხომ თვლა არ ჰქონდა. შეღავათებზე და კომპანიისთვის დაუბრუნებელ ვალებზე აღარაფერს ვამბობ.

თუ დაარწმუნებდი, საერთო საქმის სასიკეთოდ შეუძლებელს შეძლებდა. ესეც ხელმძღვანელის ხელოვნების გამოხატულება იყო მისი მხრიდან.

არ შემიძლია, ერთი ასეთი შემთხვევა არ გავიხსენო. დიდი გაჭირვების წლებში, ორი წელიწადი, ბედისა და ენთუზისტების ანაბარა იყო მიტოვებული სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული თბილისის საცხენოსნო სპორტული ბაზა. კახის პირადად ავუხსენი, რომ ამ ბაზის გაუქმება ან პრივატიზება, საქართველოში ცხენოსნობის, ამ ოლიმპიური სახეობების დასასრულის მომასწავებელი იქნებოდა. მით უფრო, რომ ცხენოსნობის ძირითადი სპორტული კლუბი უკვე აღარ არსებობდა აფხაზეთსა და სამეგრელოში. შეწუხდა. გამოსავალს რაში ხედავო, — მითხრა.

წინადადება მზად მქონდა — თბილისის საცხენოსნო ბაზა შინაგან ჯარს გადასცემოდა ბალანსიდან ბალანსზე. ჯარის სარდლობა წინასწარ მყავდა ინფორმირებული და ვიცოდი, უარს არ იტყოდნენ.

იმ ხანებში ვალერი ჩოლარია იყო კახის მოადგილე. ყველა დოკუმენტი ვალერიმ მოამზადა ოპერატიულად ჩვეული პასუხისმგებლობით. მერე შინაგანი ჯარის ხელმძღვანელობა კახის თავის კაბინეტში შევახვედრეთ და ყველაფერი დადებითად გადაწყდა.

ერთმა ჟურნალისტმა, ამას წინათ, „ლელოში“ წერილი გამოაქვეყნა რაინდული ღირსებებით გამორჩეულ ჯენტლმენ ფეხბურთელებზე. კახი ასათიანი დასახელდა მათ შორის, ვინც არისტოკრატიული ფეხბურთი ითამაშა და განსაკუთრებული კვალი დატოვა სპორტის ამ სახეობის ისტორიაში.

კახი ასათიანისნაირი ადამიანები, რომლებიც უდროოდ მიდიან ამქვეყნიდან, საზოგადოებას გაუნელებელ ტკივილს უტოვებენ. კახის ტრაგიკულმა აღსასრულმა მსოფლიო საფეხბურთო სამყარო გააოგნა, რადგან ის მხოლოდ საქართველოს და ქართულ ფეხბურთს არ ეკუთვნოდა. ის საერთო სიამაყის განსახიერება იყო. ბოლოს კი ტკივილნარევ სიამაყედ იქცა.

ამ მოგონებით მე შევეცადე ჩემი უაღრესად მოკრძალებული პატივი მიმეგო მისი ნათელი ხსოვნისთვის.

**თენგიზ ბაჩეჩილაძე.**

## კახი ასათიანზე წერდნენ...

**1970 წელი. მეხიკო. მსოფლიო ჩემპიონატი. სსრ კავშირი – ბელგია**

„განახლდა თუ არა თამაში, ასათიანი შესანიშნავად გავიდა შეტევის ხაზზე, დრიბლინგით გასცდა მოწინააღმდეგე მცველს და ზუსტად შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა — 2-0. ეს მოხდა 55-ე წუთზე“...

**გაზეთი „ლელო“**
**№111, 9 ივნისი, 1970 წ.**

X X X

**„ლიბრ ბელჟიკი“** — ბელგიური გაზეთი, ვრცელ კომენტარს უკეთებს თავისი ქვეყნისა და სსრ კავშირის გუნდების მატჩს. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს საბჭოთა ფეხბურთელთა უპირატესობას მინდვრის ცენტრში, სადაც ბატონობდნენ ასათიანი და მუნტიანი“.

**გაზეთი „ლელო“**
**№114, 13 ივნისი, 1970 წ.**

X X X

**„დე ველტი“** (გფრ) ანალიზს უკეთებს საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებას ბელგიელებთან მატჩში. გაზეთი გამოყოფს ბიშოვეცს, ასათიანს, მუნტიანს და შესტერნიოვს.“

**გაზეთი „ლელო“**
**№114, 13 ივნისი, 1970 წ.**

# ახალგაზრდები ჩამოვიდნენ, შევჩენკოსა და კომპანიას დღეს ელიან

პირველი გვერდიდან

ირ აგე მასოვენ ჰოლენი და ბრაგე სანდმოენი.

აქვე გაგაცნობთ მეტოქეთა შემადგენლობებს.

**უკრაინის ახალგაზრდული ნაკრები**

**მეკარეები:** ანდრეი პიატოვი (ვორსკლა), ევგენი შირიაევი (ჩერნომორეცი), ბოგდან შუსტი (კარპატი).

**მცველები:** ალექსანდრ იაცენკო (ხარკოვი), გრიგორი იარმაში (ვორსკლა), დმიტრო ჩიგირინსკი (მეტალურგი ზ), ევგენი ჩებერიაჩკო (ხარკოვი), დმიტრო ნევმივაკა (მეტალურგი ზ), მიკოლა იშჩენკო (კარპატი), ანდრეი ბეპალაი (დინამო კ), ვლადიმირ არჟაპოვი (მეტალურგი ზ);

**ნახევარმცველები:** ალექსანდრ ალიევი (დინამო კ), ოლეგ გერასიმიუკი (ვოლინი), ოლეკსეი გოდინი (მეტალურგი ზ), ივან კრივოშჩენკო (ილიჩოვეცი), ალექსანდრ მაქსიმოვი (ხარკოვი), ანდრიან პუკანიჩი (ილიჩოვეცი), ალექსანდრ სიტნიკი (დინამო კ);

**თავდამსხმელები:** დმიტრო ვორობეი (დინამო კ.), არტიომ მილევსკი (დინამო კ), სერგეი პივნენკო (ილიჩოვეცი), მაქსიმ ფეშჩუკი (კარპატი), რუსლან ფომინი (შახტიორი).

**საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა**

**მეკარეები:** ზვიად სტურუა (დინამო თბილისი, საქართველო) გიორგი ლომაია (ხიმკი, რუსეთი);

**მცველები:** ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), კახა კალაძე (მილანი, იტალია), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი);

**ნახევარმცველები:** კახაბერ ალადაშვილი, (დინამო, თბილისი, საქართველო), დავით ოდიკაძე (დინამო, თბილისი, საქართველო), ლევან ცქიტიშვილი (ვოლფსბურგი, გერმანია), გოგიტა გოგუა (ხიმკი, რუსეთი), გიორგი განუგრავა (ზესტაფონი, საქართველო), ჯაბა კანკავა (ალანია, რუსეთი), გიორგი გახოკიძე (ტვენტე, ჰოლანდია), კახაბერ ჩხეტიანი (ზესტაფონი, საქართველო);

**თავდამსხმელები:** დავით მუჯირი (შტურმი, ავსტრია), გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), მიხეილ აშვეთია (როსტოვი, რუსეთი).

**საქართველოს 21 წლამდე ახალგაზრდული ნაკრები**

**მეკარეები:** ნუკრი რევიშვილი (ტორპედო, ქუთაისი, საქართველო), რევაზ თევდორაძე (თბილისი, საქართველო);

**მცველები:** გიორგი ელბაქიძე (ამერი, საქართველო), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი, საქართველო), დავით მჭედლიშვილი (ამერი, საქართველო), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), გულვერდ თომაშვილი (დინამო, საქართველო), ლერი ხოხონიშვილი (თბილსი, საქართველო), ზურაბ გვაძაბია (ამერი, საქართველო).

**ნახევარმცველები:** შოთა გრიგალაშვილი (დინამო, საქართველო), ირაკლი ჩირიკაშვილი (დინამო, საქართველო), კახა მახარაძე (დინამო, საქართველო), მირზა ბჟალავა (ამერი, საქართველო), გოგა გიორგაძე (ზესტაფონი, საქართველო);

**თავდამსხმელები:** ლადო ლაფერაშვილი (ზესტაფონი, საქართველო), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი, საქართველო), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი, საქართველო), გოგი ფიფია (თბილისი, საქართველო).

**უკრაინის ეროვნული ნაკრები**

**მეკარეები:** ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო კ.), მაქსიმ სტარცევი (კრივბასი);

**მცველები:** ვლადისლავ ვაშჩუკი (დინამო კ.), ანდრეი ნესმაჩნი (დინამო კ.), სერგეი ფედოროვი (დინამო კ.), ვლადიმირ ეზერსკი (დნიპრო), ანდრეი რუსოლი (დნიპრო), ალექსანდრ რადჩენკო (დნიპრო), ვიაჩესლავ შევჩუკი (შახტიორი);

**ნახევარმცველები:** ანდრეი გუსინი (კრილია, რუსეთი), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტიორი), ოლეგ გუსევი (დინამო კ.), ოლეგ შელაევი (დნიპრო), რუსლან როტანი (დინამო კ.), სერგეი შიშჩენკო (მეტალურგი), სერგეი ნაზარენკო (დნიპრო). ალექსანდრ რიკუნი (დნიპრო);

**თავდამსხმელები:** ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია) სერგეი რებროვი (დინამო კ), ანდრეი ვორონინი (ბაიერი, გერმანია), ოლეგ ვენგლინსკი (აეკი, საბერძნეთი), ალექსეი ბელიკი (შახტიორი).

**II ჯგუფი. ეროვნული ნაკრებები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 9 | 7 | 2 | 0 | 15-3 | 23 |
| თურქეთი | 9 | 4 | 4 | 1 | 19-7 | 16 |
| საბერძნეთი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-7 | 15 |
| დანია | 8 | 3 | 3 | 2 | 13-8 | 12 |
| ალბანეთი | 9 | 3 | 0 | 6 | 7-16 | 9 |
| საქართველო | 8 | 2 | 2 | 4 | 12-17 | 8 |
| ყაზახეთი | 8 | 0 | 0 | 8 | 3-23 | 0 |

**II ჯგუფი. ახალგაზრდული ნაკრებები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 8 | 7 | 1 | 0 | 24-7 | 22 |
| უკრაინა | 9 | 5 | 1 | 3 | 14-7 | 16 |
| საბერძნეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 12-6 | 14 |
| თურქეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 11-6 | 14 |
| საქართველო | 8 | 3 | 2 | 3 | 7-14 | 11 |
| ალბანეთი | 9 | 1 | 2 | 6 | 5-20 | 5 |
| ყაზახეთი | 8 | 1 | 0 | 6 | 4-17 | 3 |

მეორე შესარჩევ ჯგუფში კიდევ ორი მატჩი გაიმართება. ქართველებისა და უკრაინელების გარდა, ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ჯგუფში მეორე ადგილის მსურველები — თურქები და დანიელები. ალბანელები კი ყაზახებს უმასპინძლებენ.

**3 სექტემბერი**

საქართველო — უკრაინა
თურქეთი — დანია
ალბანეთი — ყაზახეთი

მატჩისადმი ინტერესი დიდია. საქართველოსა და უკრაინის ეროვნულ ნაკრებთა მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს გადმოსცემენ ტელეკომპანიები: „იმედი", უკრაინული „ინტერი+" და რუსული „ნტვ+ფუტბოლი". ჟურნალისტთა რაოდენობა საკმაოდ დიდია.

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა ქომაგთათვის დახურულია და ცარიელი ტრიბუნების წინაშე გაიმართება, გულშემატკივარი უფეხბურთოდ მაინც არ დარჩება. ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით და თბილისის მერიის ხელშეწყობით, თავისუფლების მოედანზე დამონტაჟდება მონიტორი და ქომაგებს შეეძლებათ მატჩის თვალის დევნება.

**დღეს, 12 საათზე გაიოზ დარსაძე ნაკრების ტექნიკურ ცენტრში, ჟურნალისტებს ფეხბურთელებს შეახვედრებს და პრესკონფერენციას გამართავს.**

# ტრანსფერები მოსწრებაზეა



სატრანსფერო „ფანჯრის" დახურვამდე ქართველ ლეგიონერთა რიცხვი რამდენიმე ფეხბურთელით გაიზარდა. თბილისის „დინამოს" ყოფილი მცველი **ილია კანდელაკი** (სურათზე), ამიერიდან, უკრაინაში იბურთავებს და ოდესის „ჩერნომორეცის" ღირსებას დაიცავს.

საფეხბურთო კლუბ „თბილისის" ნახევარმცველი ანზორ კალაძე რუსეთში, მოსკოვის „ტორპედოში" გადავიდა.

ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილმა კაპიტანმა დავით გამეზარდაშვილმა რუსეთში გუნდის ძიების შემდეგ ლატვიაში გადაინაცვლა და სავარაუდოდ, სამი წლით, საფეხბურთო კა...

# ზურაბ ხიზანიშვილი ინგლისშია

როგორც იქნა, დასრულდა საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველის ზურაბ ხიზანიშვილის „უსაქმურობა". ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ ფეხბურთელს ევროპული ფეხბურთის საუკეთესო და უმდიდრეს ლიგაში თავის გამოჩენის საშუალება მიეცა. ზურაბი შოტლანდიის და „რეინჯერსს" დაემშვიდობა და ამიერიდან ერთი წლის განმავლობაში ინგლისის „ბლექბერნ როვერსის" ღირსებას დაიცავს.



# სუპერთასი აღდგა

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში სუპერთასი სულ ოთხჯერ გათამაშდა. საპატიო პრიზის მფლობელი ორი „დინამოა". სამჯერ სუპერთასი თბილისელებს ერგოთ. (1996, 1997, 1999 წლები), ერთხელ ბათუმელებს (1998 წელი). მერე, რატომღაც სუპერთასი აღარ გათამაშებულა.

წლეულს, ქვეყნის ჩემპიონი თბილისის „დინამო" და თასის მფლობელი თბილისის „ლოკომოტივი" სუპერთასისთვის ერთმანეთს ისევ დაუპირისპირდებიან. **თბილისური გუნდების პაექრობას ბათუმის ცენტრალური სტადიონი 14 სექტემბერს, 16 საათზე უმასპინძლებს.** მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ორი ტელეკომპანია „იმედი" და „აჭარა" გადასცემს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და პროფლიგის ერთობლივი ძალისხმევით, ორივე გუნდს გასვლითი მატჩის ხარჯები პირველად აუნაზღაურდებათ. ხანგრძლივი პაუზის მიუხედავად, სუპერთასისთვის ბრძოლა „დინამოსთვის" თუ ძველი პაექრობების გახსენებაა, „ლოკომოტივი" პრიზისთვის პირველად იბრძოლებს.

# პირველი ლიგა

**გადადებული მატჩები**

ამერი2 — ზესტაფონი2 1-0
გაგრა — ვიტ ჯორჯია2 0-2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი2 | 3 | 3 | 0 | 0 | 4-0 | 9 |
| მერანი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| რუსთავი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| დინამო2 | 3 | 2 | 0 | 1 | 10-2 | 6 |
| საგარეჯო | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| მესხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| ლოკომოტივი2 | 3 | 2 | 0 | 1 | 2-1 | 6 |
| ვიტ-ჯორჯია2 | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| ზუგდიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-2 | 4 |
| გურია | 3 | 1 | 0 | 2 | 10-7 | 3 |
| ჩიხურა | 1 | 1 | 0 | 0 | 5-2 | 3 |
| მეშაქრე | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| გაგრა | 3 | 0 | 2 | 1 | 0-2 | 2 |
| მეშახტე | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| მალაროელი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-8 | 1 |
| თბილისი2 | 3 | 0 | 0 | 3 | 3-11 | 0 |
| ლიახვი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |
| ზესტაფონი2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |



ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

# ახალი წესდება, ახალი აღმასკომი

სფფ-ს ყრილობა

სფფ-ს რიგგარეშე X ყრილობა სასტუმრო „ქორთ იარდ-მარიოტში" 30 აგვისტოს დათქმულ დროს დაიწყო და დაახლოებით სამი საათი გაგრძელდა. ყრილობის მსვლელობაც დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. პირველი საკითხი 48 დელეგატმა უპრობლემოდ განიხილა და სფფ-ს წესდების ახალი რედაქციაც დაამტკიცა. შემდეგ კი სფფ-ს აღმასკომის წევრთა არჩევის ჯერიც დადგა. სფფ-ს ძველი აღმასკომის 21-კაციანი შემადგენლობა მესამედით 15 კაცამდე შემცირიდა. ყრილობის ხმის უფლების მქონე, 24 დელეგატმა აღმასკომის 14 წევრი ფარული კენჭისყრით აირჩია. არჩევნები ორ ტურად ჩატარდა. პირველ ტურში უპრობლემოდ აირჩიეს აღმასკომის 12 წევრი. კიდევ ორის გამოვლენას მეორე ტური დასჭირდა. გურამ რუხაძემ, გიორგი სულხანიშვილმა და ზურაბ ფოცხვერიამ პირველ ტურში ხმების თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს. მეორე ტურში ყრილობის დელეგატებმა არჩევანი საფეხბურთო კლუბების „ვიტ ჯორჯიასა" და „ამერის" პრეზიდენტებზე შეაჩერეს. ქართული ფეხბურთის მესვეურთა განმარტებით, თხუთმეტკაციანი აღმასრულებელი კომიტეტი უფრო მობილურად და მოქნილად იმუშავებს. აღმასკომის მუშაობას წესისამებრ სფფ-ს პრეზიდენტი გაუძღვება. სფფ-ს ახალი აღმასრულებელი კომიტეტის სრული შემადგენლობა ასეთია: ნოდარ ახალკაცი, მურად ანჯაფარიძე, რევაზ არველაძე, ალექსანდრე ახვლედიანი, ვლადიმერ გუცაევი, სერგო კვარაცხელია, ლაშა მინდელი, დავით ნამგალაური, დიმიტრი რამიშვილი, გურამ რუხაძე, გიორგი ტყავაძე, ზურაბ ფოცხვერია, გიორგი ქავთარაძე, ლევან ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე. აღმასკომში ხუთი ახალი წევრია. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ტყავაძე, საფეხბურთო კლუბ „ამერის" პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია, საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის" გენერალური დირექტორი ლევან ყიფიანი და გიორგი ქავთარაძე. ყრილობაზე სხვადასხვა საკითხები არ განხილულა. ჩვენებური ფეხბურთის უმთავრესმა ორგანომ დღის წესრიგი ამოწურა და მუშაობა დაამთავრა. სფფ-ს რიგგარეშე X ყრილობას ესწრებოდნენ და თვალყურს ადევნებდნენ უეფას წარმომადგენლები — მარკუს შტუდერი, იოზეფ მიფსუდი და ანიტა კოლომბო.

# უეფა ასოციაციებს ისევ დაეხმარება

ევროპული ფეხბურთის უპირველესი მმართველი ორგანიზაციის სამი ჩინოსანის სტუმრობა სფფ-ს ყრილობაზე დასწრებით არ შემოფარგლულა. **შტუდერი, მიფსუდი** და **კოლომბო** სფფ-ს პრეზიდენტს **ნოდარ ახალკაცს** და გენერალურ მდივანს **გრიგოლ ცაავას** ოფისში ეწვივნენ და სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ხანგრძლივად ესაუბრნენ. ოთხშაბათს, სალამოს, თბილისში დარჩენილი მალტის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და უეფას აღმასკომის წევრი იოზეფ მიფსუდი ჟურნალისტებს შეხვდა და უეფას ძველ და ახალ პროექტებზე, პრიორიტეტულ საკითხებზე და უეფას წევრ ასოციაციებზე დახმარების განხორციელებაზე ელაპარაკა. პრესკონფერენციაზე თარჯიმნობა სტუმარს, თავად სფფ-ს პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გაუწია.

უეფა თავისი პროგრამებით ცდილობს დაეხმაროს წევრ ასოციაციებს სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში. წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიურო, განხორციელდა პროგრამა ჰეთ-თრიკი, შარშანდელი საიუბილეო მინიმოედნების პროექტები, რომლის უმთავრესი მიზანია ასოციაციების დახმარება იმისათვის, რომ მათ ნორმალური ფუნქციონირება შეძლონ, ხელი შეუწყონ თავიანთ ქვეყნებში ფეხბურთის განვითარებას. „გარკვეულწილად მოვახდინეთ ასოციაციების ჯგუფებად დაყოფა, შევიმუშავეთ სპეციალური პროგრამა, შევარჩიეთ პრობლემური საკითხები, ასოციაციების ნახვის, მათი მესვეურების მოსმენის შემდეგ გავაკეთეთ მოხსენებები. ასოციაციების სამ კატეგორიას (ძლიერი, საშუალო და სუსტი) ვეხმარებით რეალური პრობლემების გადაწყვეტაში" — განაცხადა მიფსუდმა.

სტუმარი მასპინძლებთან ურთიერთობით კმაყოფილი ჩანდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან და გენმდივანთან ხუთსაათიანი საქმიანი შეხვედრით დასრულდა „ტოპ" პროგრამის პირველი ნაწილი, მეორე ნაწილი შემოდგომაზე გაგრძელდება. ასოციაციათა პრეზიდენტებს და გენერალურ მდივნებს უეფას შტაბბინაში სპეციალურ სემინარებზე მიიწვევენ. გაესაუბრებიან საორგანიზაციო, მარკეტინგისა, მენეჯმენტისა და საფინანსო საკითხებზე, გათვალისწინებულია სემინარების მოწყობა ასოციაციების საშუალო კატეგორიის თანამშრომლებისათვის. ეს ხელს შეუწყობს მათი მუშაობის დონის ამაღლებას. „გვჯერა, უეფას პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილი მილიონიანი თანხები სასურველ შედეგს მოგვცემს და უეფას წევრი ასოციაციები ერთნაირად გაძლიერდებიან და განვითარდებიან, რაც თითოეულ ქვეყანაში ფეხბურთსაც განავითარებს" — თქვა სტუმარმა.



ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

მარცხნიდან — ნოდარ ახალკაცი, მარკუს შტუდერი და იოზეფ მიფსუდი.

ქართული ფეხბურთის მესვეურებთან შეხვედრისას განისაზღვრა პრიორიტეტული, მოსაგვარებელი საკითხები. გაგრძელდება მუშაობა მწვრთნელთა განათლების პროგრამაზე, საუბარი შეეხო ჭაბუკთა ნაკრები გუნდების საკვალიფიკაციო მატჩების ორგანიზაციას, მსაჯობას, ბავშვთა ფეხბურთს, სფფ-ს პოტენციურ შემოსავლებს, სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. პრესკონფერენციის დასასრულს მიფსუდი მასმედიისა და ასოციაციების თანამშრომლობას და პარტნიორობას შეეხო. „თქვენმა და ფედერაციის აქტიურმა ურთიერთობამ ქვეყანაში ფეხბურთი უნდა განავითაროს" — დასძინა უეფას ჩინოსანმა.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ლუი ვან გაალი: «არველაძისნაირი შედეგიანი თავდამსხმელები ევროპაში ბევრნი არ არიან»

ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბმა „ალკმაარმა“ ბოლო დროს თავისი წარმატებული ასპარეზობით ყურადღება მიიპყრო. ქართველ გულშემატკივართა ინტერესი ამ გუნდის მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც მის შემადგენლობაში გადავიდა შოთა არველაძე. დაიწყო ახალი სეზონი და შოთამ ძველი ბურთების გატანის დრო გაიხსენა. ბოლო შეხვედრაშიც ხომ ორჯერ გამოიჩინა თავი. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში სწორედ „ალკმაარის“ შესახებ ვისაუბრებთ.

უკანასკნელად „ალკმაარმა“ ჰოლანდიის ჩემპიონის ტიტული 25 წლის წინათ მოიპოვა. ახლა ეს გუნდი მზად არის პირველობაში შეეცილოს ისეთ გრანდებს, როგორებიც არიან პსვ „ეინდჰოვენი“, „ფეიენოორდი“ და „აიაქსი“.



„ალკმაარს“ ხელმძღვანელობს ცნობილი სპეციალისტი ლუი ვან გაალი, რომელსაც მიზნად ჰოლანდიის ჩემპიონატის ოქროს მედლების მოპოვება განუზრახავს. „ალკმაარი“ შარშანაც უწევდა მძაფრ კონკურენციას პსვ „ეინდჰოვენს,“ მაგრამ მაინც „ეინდჰოვენმა“ იმარჯვა. 2004-2005 წლების სეზონის დასრულებამდე ბევრი არაფერი რჩებოდა, როცა ცნობილი გახდა, რომ გუნდს დატოვებდა მაშინდელი მთავარი მწვრთნელი კო ადრიანსე. ბევრი ფიქრობდა, რომ მის კვალს გაჰყვებოდა რამდენიმე ძირითადი მოთამაშეც და „ალკმაარი“ ისევ საშუალო დონის გუნდად გადაიქცეოდა, მაგრამ...

მართალია, შესაბამისად „აიაქსში“ და „ვილიარეალში“ გადავიდნენ ოლაფ ლინდერბერგი, იან კრომკამპი, სამაგიეროდ, გუნდში მოვიდა რობინ ნელისი, რომელიც შარშან „უტრეხტის“ ღირსებას იცავდა.

ჰოლანდიის ჩემპიონატის პირველ სამ ტურში „ალკმაარმა“ დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის გლაზგოს „რეინჯერსის“ ყოფილ თავდამსხმელს შოთა არველაძეს, მისი შეძენა ლუი ვან გაალის „წლის წარმატებულ ნაბიჯად“ შეიძლება ჩაითვალოს.

„შოთა არველაძის შედეგიანობა სულაც არ მაკვირვებს, — ამბობს „ბარსელონას“ ყოფილი თავკაცი ლუი ვან გაალი, — სადაც შოთას უთამაშია, საშუალოდ, ორ შეხვედრაში ერთი ბურთი მაინც გაჰქონდა. არველაძისნაირი შედეგიანი თავდამსხმელები ევროპაში ბევრნი არ არიან.“

ჰოლანდიის ჩემპიონატის მესამე ტურში, როცა „ალკმაარმა“ 5-0 დაამარცხა „ვიტესი“, ამ ხუთიდან ორი ბურთი არველაძემ გაიტანა. აღნიშნულ შეხვედრაში აღმოჩნდა, რომ ლუი ვან გაალის გუნდს ქართველის გარდა კიდევ ერთი შედეგიანი ფეხბურთელი ჰყავდა. სამი ბურთი დანიელი კენეტ პერესის ანგარიშზეა.

ასეთი დიდი სხვაობით შეხვედრის მოგების მიუხედავად, „ალკმაარის“ მთავარი მწვრთნელი მაინც უკმაყოფილო დარჩა თავისი შეგირდების თამაშით. „მართალია, გავიმარჯვეთ სოლიდური ანგარიშითაც, მაგრამ გუნდური თამაში აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს,“ — აღნიშნა შეხვედრის შემდეგ ლუი ვან გაალმა. სპეციალისტის ასეთი პოზიცია გასაკვირი არ არის, მას კარგად ახსოვს, რომ შარშან, ბრინჯაოს პრიზიორი „ალკმაარი“ ჩემპიონს 23 ქულით (!) ჩამორჩა. მართალია, ლუი ვან გაალის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოქროს მედლების მოპოვება სწყურია, მაგრამ ჯერჯერობით ნაკლებად აქვს იმედი, რომ 2005-2006



წლების სეზონში მიაღწევს.

„ეს ჯერჯერობით არარეალურია. ავიღოთ კლუბის ბიუჯეტი, რომელიც შეადგენს 14 მილიონ ევროს. ეს მაშინ, როცა პსვ „ეინდჰოვენისა“ და „აიაქსის“ ბიუჯეტი 50-60 მილიონი ევროა. ჩემი აზრით, ევროტურნირების საგზურის მოპოვებაც კარგი შედეგი იქნება, თუმცა, ვინ იცის, იქნებ მეტიც შევძლოთ...,“ — ამბობს ლუი ვან გაალი.

ასეთი განწყობილების მიუხედავად, ლუი ვან გაალი კმაყოფილია, რომ „ალკმაარი“ თანდათან პროგრესს განიცდის. ამას ამტკიცებს ისიც, რომ „ალკმაარის“ მოთამაშეებს ხშირად იძახებენ სხვადასხვა ნაკრებებში. ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მარკო ვან ბასტენის განკარგულებაში არიან ჰენკ ტიმერი, ტიმ დე კლერი, ბარი ოპდამი და დენი ლანდზაატი. სტევინ სხაარსი და დემი დე ზეუვი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან. კენეტ პერესი დანიის ნაკრებში თამაშობს, არველაძე — საქართველოს ნაკრებში, ხოლო ტარიკ სეკტუმი კი მაროკოს ნაკრების ღირსებას იცავს.

„ალკმაარი“ დაინტერესებულია უეფას თასზე წარმატებული თამაშით. 15 სექტემბერს ლუი ვან გაალის გუნდს ელის შეხვედრა რუსულ „კრილია სოვეტოვთან“. სპეციალისტები უპირატესობას, რაღა თქმა უნდა, შოთა არველაძესა და მის თანაგუნდელებს ანიჭებენ.

## ანდრეი შევჩენკო: „მე ვიცი, რომ ქართველები გამარჯვებისთვის იბრძოლებენ“



საქართველოს ნაკრებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრამდე ადრე უკრაინის ნაკრების და „მილანის“ თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ კიევში პრესკონფერენცია გამართა.

◆ ***ანდრეი, მოგვიყევი, როგორ ჩაიარა „გოლდენ ფუთ“-ის“ დაჯილდოების ცერემონიამ.***

— შესანიშნავი შთაბეჭდილებები გამომყვა. არ მეგონა თუ მთავარი პრიზის მფლობელი გავხდებოდი. არასოდეს დამავიწყდება მომენტი, როცა მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების გარემოცვაში ვიყავი. ცერემონიას მონაკოს პრინციც ესწრებოდა.

◆ ***რას იტყვით ქართველებთან მომავალ შეხვედრაზე?***

— მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის. სერიოზულად ვემზადებით. თბილისური თამაშის ნეგატიური მხარე ის არის, რომ სტადიონის ტრიბუნები ცარიელი იქნება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაყურებლების გარეშე სტუმრად ქართველებთან შედარებით მშვიდად ვითამაშებთ.

◆ ***თუ უკრაინის ნაკრები დაამარცხებს საქართველოს ნაკრებს, პრაქტიკულად ვადამდე მოიპოვებს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს.***

— ვიმეორებ ქართველებთან შეხვედრა გადამწყვეტია ჩვენთვის. შევეცდებით, მოვუგოთ მეტოქეს და მთავარი ამოცანაც გადაწყვეტილი იქნება. ამის შემდეგ კი ნაკრების ხელმძღვანელობას, საშუალება ექნება, ჯგუფში დარჩენილ ორ შეხვედრაში სხვა შემადგენლობა გამოსცადოს.

◆ ***კახი კალაძესთან თუ გისაუბრიათ მომავალ სანაკრებო შეხვედრასთან დაკავშირებით?***

— არა. მე კარგად ვიცი, რომ ქართველები გამარჯვებისათვის იბრძოლებენ.

## მაიკლ ოუენი: „შირერმა თავისი ნომერი შემომთავაზა“

მადრიდის „რეალის“ აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი მაიკლ ოუენი ამიერიდან ინგლისური „ნიუკასლის“ ღირსებას დაიცავს. ოუენის პოზიციები „სამეფო კლუბში“ მას შემდეგ შესუსტდა, რაც ხელმძღვანელობამ შეიძინა რობინიო და ჟულიო ბაპტისტა. „ნიუკასლის“ გარდა, მაიკლისადმი ინტერესს „ლივერპული“ იჩენდა, მაგრამ ფეხბურთელმა მაინც ალან შირერის გუნდი არჩია. ოუენის სატრანსფერო თანხა „ნიუკასლის“ ისტორიაში რეკორდულია. ამ ფეხბურთელში 23,5 მილიონი ევრო გადაიხადეს. „თითქმის მთელი ცხოვრება „ნიუკასლში“ გავატარე. მე ვამაყობ იმით, რომ სხვადასხვა დროს კონტრაქტი გავაფორმე ისეთ ვარსკვლავებთან, როგორებიც არიან ალან შირერი და მაიკლ ოუენი“, — ეს სიტყვები „ნიუკასლის“ პრეზიდენტს ფრედი შეპერდს ეკუთვნის. მან აღნიშნა, რომ ოუენი შესანიშნავი თავდამსხმელია და სჯერა — ის წარმატებას მოუტანს „ნიუკასლს“.

ოუენმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ნიუკასლთან“. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მის არჩევანში დიდი როლი ითამაშა ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ალან შირერმა. „ალანს ბევრჯერ ვესაუბრე. ის მარწმუნებდა, რომ „ნიუკასლში“ გადასვლა უმჯობესი იქნებოდა... მეც დავყევი მის ნებას. შირერმა ისიც მითხრა, რომ თამაშის კარიერის დასრულების შემდეგ იმუშავებს გუნდის ადმინისტრაციაში. მან თავისი ნომერიც (9) შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი. მე ვითამაშებ ათნომრიანი მაისურით“, — თქვა მაიკლ ოუენმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

## გლეიზერი თანამშრომლებს ათავისუფლებს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალმა მფლობელმა მალკოლმ გლეიზერმა 25 თანამშრომლის გათავისუფლება გადაწყვიტა. შემცირებები კლუბის სტრუქტურის ყველა განყოფილებას შეეხება.



## მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები

როგორც ცნობილია, ხვალ და ზეგ გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი შეხვედრები. გთავაზობთ შეხვედრათა განრიგს ევროპული ტოტალიზატორის „ინტერვეტენის“ კოეფიციენტთან ერთად, აგრეთვე, სატურნირო მდგომარეობას ევროპის ზონაში

### ევროპის ზონა. 31 სექტემბერი

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| ანდორა — ფინეთი | 15,00 | 7,00 | 1,10 |
| ჩრდ. ირლანდია -აზერბაიჯანი | 1,55 | 3,50 | 4,80 |
| უელსი — ინგლისი | 7,00 | 4,00 | 1,35 |
| ესტონეთი — ლატვია | 3,20 | 3,10 | 2,00 |
| რუსეთი — ლიხტენშტაინი | 1,07 | 8,00 | 16,00 |
| შვეიცარია — ისრაელი | 1,90 | 3,10 | 3,70 |
| მოლდოვა — ბელარუსი | 3,80 | 3,10 | 1,80 |
| საქართველო — უკრაინა | 5,00 | 3,70 | 1,50 |
| შოტლანდია — იტალია | 4,60 | 3,20 | 1,70 |
| სომხეთი — ჰოლანდია | 12,00 | 6,00 | 1,15 |
| რუმინეთი — ჩეხეთი | 2,70 | 3,10 | 2,40 |
| თურქეთი — დანია | 2,10 | 3,10 | 3,30 |
| ისლანდია — ხორვატია | 5,00 | 3,70 | 1,50 |
| ბოსნია — ბელგია | 2,50 | 3,00 | 2,50 |
| პოლონეთი — ავსტრია | 1,60 | 3,50 | 5,00 |
| სერბეთი — ლიტვა | 1,40 | 3,90 | 6,00 |
| სლოვენია — ნორვეგია | 2,50 | 3,00 | 2,50 |
| უნგრეთი — მალტა | 1,10 | 7,00 | 15,00 |
| საფრანგეთი — ფარერები | 1,01 | 12,00 | 25,00 |
| პორტუგალია — ლუქსემბურ | 1,02 | 11,00 | 22,00 |

### სატურნირო მდგომარეობა:

| პირველი ჯგუფი: | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 8 | 7 | 1 | 0 | 20-3 | 22 |
| ჩეხეთი | 8 | 7 | 0 | 1 | 28-7 | 21 |
| რუმინეთი | 10 | 6 | 1 | 3 | 17-10 | 19 |
| ფინეთი | 8 | 4 | 0 | 4 | 16-14 | 12 |
| მაკედონია | 10 | 2 | 2 | 6 | 10-19 | 8 |
| სომხეთი | 9 | 1 | 1 | 7 | 5-20 | 4 |
| ანდორა | 9 | 1 | 1 | 7 | 4-27 | 4 |

| მეორე ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 9 | 7 | 2 | 0 | 15-3 | 23 |
| თურქეთი | 9 | 4 | 4 | 1 | 19-7 | 16 |
| საბერძნეთი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-7 | 15 |
| დანია | 8 | 3 | 3 | 2 | 13-8 | 12 |
| ალბანეთი | 9 | 3 | 0 | 6 | 7-16 | 9 |
| საქართველო | 8 | 2 | 2 | 4 | 12-17 | 8 |
| ყაზახეთი | 8 | 0 | 0 | 8 | 3-23 | 0 |

| მესამე ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 8 | 6 | 2 | 0 | 24-4 | 20 |
| სლოვაკეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 22-7 | 18 |
| რუსეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 16-11 | 15 |
| ლატვია | 9 | 4 | 2 | 3 | 16-15 | 14 |
| ესტონეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-15 | 11 |
| ლიხტენშტაინი | 9 | 1 | 2 | 6 | 9-19 | 5 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 4-32 | 0 |

| მეოთხე ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 7 | 3 | 4 | 0 | 11-4 | 13 |
| შვეიცარია | 6 | 3 | 3 | 0 | 13-4 | 12 |
| ისრაელი | 7 | 2 | 5 | 0 | 10-8 | 11 |
| საფრანგეთი | 6 | 2 | 4 | 0 | 5-1 | 10 |
| კვიპროსი | 7 | 1 | 1 | 5 | 7-12 | 4 |
| ფარერები | 7 | 0 | 1 | 6 | 3-20 | 1 |

| მეხუთე ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 4 | 1 | 1 | 9-5 | 13 |
| ნორვეგია | 6 | 2 | 3 | 1 | 6-3 | 9 |
| სლოვენია | 6 | 2 | 3 | 1 | 6-5 | 9 |
| ბელარუსი | 6 | 1 | 4 | 1 | 10-7 | 7 |
| შოტლანდია | 6 | 1 | 3 | 2 | 3-4 | 6 |
| მოლდოვა | 6 | 0 | 2 | 4 | 1-11 | 2 |

| მეექვსე ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 22-5 | 18 |
| ინგლისი | 6 | 5 | 1 | 0 | 13-3 | 16 |
| ავსტრია | 6 | 3 | 2 | 1 | 11-8 | 11 |
| ჩრდ.ირლანდია | 6 | 0 | 3 | 3 | 5-13 | 3 |
| უელსი | 6 | 0 | 2 | 4 | 5-11 | 2 |
| აზერბაიჯანი | 7 | 0 | 2 | 5 | 1-17 | 2 |

| მეშვიდე ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 7 | 3 | 4 | 0 | 10-2 | 13 |
| სერბეთი | 6 | 3 | 3 | 0 | 10-0 | 12 |
| ლიტვა | 6 | 2 | 3 | 1 | 7-3 | 9 |
| ბელგია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| ბოსნია | 6 | 1 | 4 | 1 | 7-8 | 7 |
| სან-მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 2-23 | 0 |

| მერვე ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 6 | 5 | 1 | 0 | 16-3 | 16 |
| შვედეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 23-2 | 15 |
| უნგრეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-11 | 10 |
| ბულგარეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 11-11 | 8 |
| ისლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 10-18 | 4 |
| მალტა | 7 | 0 | 1 | 6 | 2-26 | 1 |

### სამხრეთ ამერიკის ზონა

| 31 სექტემბერი | | | |
|---|---|---|---|
| ბოლივია — ეკვადორი | 2,40 | 3,10 | 2,50 |
| პარაგვაი — არგენტინა | 2,60 | 3,00 | 2,40 |
| **4 სექტემბერი** | | | |
| ვენესუელა — პერუ | 2,10 | 3,00 | 3,10 |
| ბრაზილია — ჩილე | 1,20 | 5,00 | 19,99 |
| ურუგვაი — კოლუმბია | 2,10 | 3,00 | 3,10 |

| სატურნირო მდგომარეობა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 15 | 9 | 4 | 2 | 27-15 | 31 |
| ბრაზილია | 15 | 7 | 6 | 2 | 26-16 | 27 |
| ეკვადორი | 15 | 7 | 2 | 6 | 21-18 | 23 |
| პარაგვაი | 15 | 6 | 4 | 5 | 21-22 | 22 |
| კოლუმბია | 15 | 5 | 5 | 5 | 20-12 | 20 |
| ჩილე | 15 | 5 | 5 | 5 | 17-16 | 20 |
| ურუგვაი | 15 | 4 | 6 | 5 | 19-26 | 18 |
| პერუ | 15 | 3 | 6 | 6 | 15-21 | 15 |
| ვენესუელა | 15 | 4 | 3 | 8 | 16-23 | 15 |
| ბოლივია | 15 | 4 | 1 | 10 | 17-30 | 13 |

### კონკაკაფის ზონა

| 3 სექტემბერი | | | |
|---|---|---|---|
| ტრინიდად — გვატემალა | 2,10 | 3,10 | 3,00 |
| **4 სექტემბერი** | | | |
| აშშ- მექსიკა | 2,20 | 3,00 | 3,10 |
| პანამა — კოსტარიკა | 3,10 | 3,20 | 2,00 |

### აფრიკის ზონა

| 3 სექტემბერი | | | |
|---|---|---|---|
| კენია — ტუნისი | 4,60 | 3,50 | 1,55 |
| ზამბია — სენეგალი | 2,50 | 3,00 | 2,50 |
| ბურკ.ფასო—სამხ.აფრიკა | 4,20 | 3,30 | 1,65 |
| მაროკო — ბოსტვანა | 1,17 | 5,00 | 10,00 |
| **4 სექტემბერი** | | | |
| ზიმბაბვე — რუანდა | 1,35 | 3,90 | 6,50 |
| ანგოლა — გაბონი | 1,40 | 3,90 | 5,60 |
| ტოგო — ლიბერია | 1,20 | 5,0? | 8,50 |
| სპილ.ძვ.ნაპირ.— კამერუნი | 2,10 | 3,20 | 2,90 |
| განა — უგანდა | 1,20 | 5,00 | 8,50 |
| ეგვიპტე — ბენინი | 1,27 | 4,60 | 7,00 |
| ალჟირი — ნიგერია | 3,60 | 3,30 | 1,75 |



## მოურინიო: „ერიქსონის მემკვიდრე ინგლისელი მწვრთნელი იქნება“



ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იქნება ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის სვენ-გორან ერიქსონის მემკვიდრე. ბევრი სპეციალისტი მის შემცვლელად მოიაზრებდა ლონდონის „ჩელსის“ თავკაცს ჟოზე მოურინიოს, მაგრამ ეს უკანასკნელი სულაც არ არის დაინტერესებული, ჩაიბაროს ინგლისის ნაკრები. მოურინიო დარწმუნებულია, რომ ერიქსონის მემკვიდრე ინგლისელი მწვრთნელი იქნება.

„ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა ნებისმიერი სპეციალისტისათვის უდიდესი პატივია, მაგრამ არა მგონია, რომ ერიქსონის შემცვლელი ვიყო. ვფიქრობ, გუნდის საჭეს ინგლისელი მწვრთნელი ჩაიბარებს“, — აღნიშნა მოურინიომ.

## ირვინ ჯონსონი ბრუნდება



ორწლიანი შესვენების შემდეგ დიდ კალათბურთს უბრუნდება ნბა-ს ვარსკვლავი ირვინ ჯონსონი. ის 1997 — 2003 წლებში ასპარეზობდა ნბა-ს კლუბებში. ამჯერად ირვინ ჯონსონი ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს „მილუოკთან".

## პოუ გაზოლი – ტელეკომენტატორი

ნბა-ს ესპანელი მოთამაშე პოუ გაზოლი კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის დროს ტელეკომენტატორის ფუნქციას შეასრულებს. „მემფისის" თავდამსხმელი თავის გუნდს ვერ ეხმარება იმის გამო, რომ ფეხის ტრავმა აწუხებს, სამაგიეროდ, რეპორტაჟებს წაიყვანს ერთ-ერთ ესპანურ სატელევიზიო ტელეარხზე. შეგახსენებთ, რომ კალათბურთში ევროპის ჩემპიონატი 16 სექტემბერს იწყება სერბიასა და ჩერნოგორიაში.

## ნბა

## სონგაილა „ჩიკაგოში" ?

ნბა-ს გუნდი „ჩიკაგო" მზად არის ლიტველ კალათბურთელს დარიუს სონგაილას შესთავაზოს ერთწლიანი კონტრაქტი, რომლის პირობების თანახმადაც, ეს უკანასკნელი 2,2 მილიონ დოლარს მიიღებს. ბოლო პერიოდში სონგაილა „საკრამენტოს" ღირსებას იცავდა. ახლა ამ გუნდს ზემოთხსენებული თანხის ოდენობის გადახდა არ შეუძლია და ამიტომაც არ არის გამორიცხული უახლოეს ხანში კალათბურთელი „ჩიკაგოში" გადავიდეს.

## იაო მინი „ჰიუსტონში" რჩება

ჩინელმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა იაო მინმა ხუთი წლით გააგრძელა კონტრაქტი ნბა-ს გუნდ „ჰიუსტონთან". ამ ხუთი წლის განმავლობაში კალათბურთელი 75 მილიონ დოლარზე მეტს მიიღებს. გასულ სეზონში იაო მინი საშუალოდ მატჩში 18,5 ქულას აგროვებდა და 8,4-ჯერ ხსნიდა ბურთს ფარიდან.

## იტალიელთა შემადგენლობა ცნობილია

იტალიის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კარლო რეკალკატიმ დაასახელა იმ 12 მოთამაშის სია, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრებიან. ჯაკომო გალანდა („ისენა"), მატეო ორანია („ბენეტონი"), ანჯელო ჯილ („რეჯო ემილია"), ალექს რიგეტი („ვირტუსი"), სტეფანო მანჩინელი („ფორტიტუდო"), დენის მარკოანატო („ბენეტონი"), ჯანმარკო პოცეკი, ჯანლუკა ბაზილე (ორივე — „ფორტიტუდი"), მარკო მორდენტე („რეჯო ემილი"), დანტე კალაბრია („მილანი").

შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ მარკო კარარეტო, ანდრეა პეჩილე, თავდამსხმელი ალესანდრო ჩიტადონი და ცენტრალური თავდამსხმელი თომას რესი.

## „ჯორდანის" ახალი ბოლიდი მონცაში გამოჩნდება



„ფორმულა 1"-ის გუნდმა „ჯორდანმა" დაასრულა ახალი ბოლიდის „EJ15B"-ის გამოცდა. მისი ოფიციალური დებიუტი შედგება იტალიის გრან პრის გათამაშებაზე. ორი ბოლიდის საჭეს მიუჯდებიან ტიაგუ მონტეირუ და ნარაიან კარტიკეიანი.

„ახალი ბოლიდის ტესტებით კმაყოფილი ვარ," — განაცხადა „ჯორდანის" სპორტულმა დირექტორმა ადრიან ბარჯესმა.

პილოტი ტიაგუ მონტეირუ მოუთმენლად ელის იტალიის გრან პრის გათამაშებას. „ვიმედოვნებ, რომ რბოლა ჩვენთვის კარგად ჩაივლის. ახალი ბოლიდი მართლაც რომ საიმედოა. სამი დღის განმავლობაში ვახდენდით ტესტირებას და შედეგი დადებითი მივიღეთ. ახლა მოუთმენლად ველი გრან პრის გათამაშებას. მონცას ტრასა, მართლაც რომ შესანიშნავია ახალი ბოლიდისათვის", — ამბობს მონტეირუ.

## აშშ-ის ღია პირველობაზე

ჩოგბურთში აშშ-ის ღია პირველობა საინტერესოდ მიმდინარეობს. გაიმართა მეორე წრის შეხვედრები.

ქალთა შეჯიბრებაში წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას მსოფლიოს მეორე ჩოგანი რუსი მარია შარაპოვა, რომელმაც მეორე წრეში დამაჯერებლად დაამარცხა მადაგასკარელი დელი რანდრიანტეფი 6:2, 6:3. ბელგიელმა კიმ კლიისტერსმა 7:5, 6:0 დაამარცხა კოლუმბიელი ფაბიოლა ზულუგუა. მეორე წრე ასევე წარმატებით დაძლიეს დებმა უილიამსებმა — სერენამ წარმატების არანაირი შანსი არ დაუტოვა კოლუმბიელ კატალინა კასტანოს (6:2, 6:2), ხოლო ვინუსს არ გასჭირვებია რუსი მარია კირილენკოს წინააღმდეგობის დაძლევა (6:1, 6:3). **სხვა შეხვედრები:** ნ. პეტროვა — ა. ნაკამურა 6:2, 6:0, მ. სალემი — დ. ჰანტეჩოვა 1:6, 0:6, ნ. პრატი — ლ. გრენვილი 4:6, 7:5, 5:7, ლ. რეიმონდი — ჯ. შრაფი 2:6, 3:6, ფ. სკიავონე — ე. ლაინე 6:2, 6:2, ნ. ვაიდისოვა — ჯ. ჩენგი 6:3, 6:0, მ. ბარტოლი — „საპირი 4:6, 6:1, 6:0, დევენპორტი — პარმენტიერი 6:1, 6:1, ჩაკვეტაძე — ქრეიბასი 6-0, 6-1



ს. უილიამსი

ვაჟთა შეჯიბრებას გამოეთიშა ენდი როდიკი, რომელიც 6:7, 6:7, 6:7 დამარცხდა გ. მიულერთან. ლეიტონ ჰიუიტმა დაამარცხა ა. კოსტა 6:1, 6:2, 6:1, ხოლო რაფაელ ნადალმა ს. ჯენკინსი ჩამოიშორა — 6:4, 7:5, 6:4.

**სხვა შეხვედრები:** ჯ. აკასუსი — ლ. პორნა 4:6, 6:3, 6:4, 7:6, მ. ლემერი — კ. კიმი 3:6, 6:3, 7:5, 6:4, 7:6 კ. კარლსენი — ნ. ალმაგრო 6:7, 5:7, 4:6, ლ. ბურგსმიულერი — ტ. დენტი 3:6, 6:3, 1:6, 4:6, დ. ფერერი — ა. კალერი 4:6, 6:4, 6:7, 6:1, 6:1, მ. ფილიპუსისი — კ. კუჩერა 4:6, 2:6, 5:7.



ჰიუიტი

## ვარგასი რინგს იანვარში დაუბრუნდება

პირველ საშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილმა ორგზის ჩემპიონმა ფერნანდო ვარგასმა, რომელმაც ახლახან ხავიერ კასტილეხო დაამარცხა, განაცხადა, რომ რინგს 2006 წლის იანვარში დაუბრუნდება. მას ასევე დაგეგმილი აქვს, მომავალი წლის მაისში მატჩ-რევანშის გამართვა ოსკარ დე ლა ჰოიასთან. არ არის გამორიცხული, ვარგასი შეხვდეს რიკარდო მაიორგასაც, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ ვბც-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

## გიგანტის წინააღმდეგ

ფილიპინელი მოკრივე მენი პაკიაო ემზადება მარკ კელოუისთან ბრძოლისათვის. საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელი 208 სანტიმეტრი სიმაღლისაა და წონით 150 კილოგრამია.

პაკიაო მზადებას მწვრთნელის ფრედი როუჩის ხელმძღვანელობით გადის.

## ეშინიათ, როი ჯონსს რამე არ დაემართოს

ვბც-ს პრეზიდენტმა ხოსე სულეიმანმა განაცხადა, რომ პროფესიონალმა მოკრივემ როი ჯონსი-უმცროსმა აუცილებლად უნდა გაიაროს ნევროლოგიური



გამოკვლევა, თორემ, არ არის გამორიცხული, ანტონიო ტარვერთან მომავალი ბრძოლის დროს მძიმე ტრავმა მიიღოს. სულეიმანი მიიჩნევს, რომ როი ჯონსისათვის სამედიცინო გამოკვლევის გავლა მიზანშეწონილია იმიტომ, რომ მოკრივე ბოლო ორ ბრძოლაში ნოკაუტში ჩააგდეს.

„როი ჯონსი ვბც-ს სიამაყეა. ის კრივის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივეა საშუალო-მძიმე წონით კატეგორიაში. ჯონსი ჩემი მეგობარია და ამიტომაც ვზრუნავ მის ჯანმრთელობაზე. თუ გამოკვლევას არ გაივლის, დიდ რისკზე წავა — არავინ იცის, რა მოხდება მასსა და ტარვერს შორის ბრძოლაში.

## სამუელ პიტერი: „ვლადიმირ კლიჩკოს ნოკაუტში ჩავაგდებ"

ბოლო დროს სწრაფად იზრდება ნიგერიელი პროფესიონალი მოკრივის, სუპერმძიმეწონოსანი სამუელ პიტერის პოპულარობა. ის ახლა ვლადიმირ კლიჩკოსთან ბრძოლისათვის ემზადება. შეხვედრა რინგზე 24 სექტემბერსაა დანიშნული. გამარჯვებული ოფიციალურად ხდება ჩემპიონობის პრეტენდენტი ვბო-სა და იბფ-სათვის.

სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ სწორედ ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული მოკრივე გახდება მთავარი მოქმედი პირი კრივის სამყაროში უახლოესი წლების განმავლობაში.

ნიგერიელმა სამუელ პიტერმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ აუცილებლად ნოკაუტში ჩააგდებს უკრაინელ მოკრივეს. „შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ვლადიმირ კლიჩკომ პირველი რაუნდის დამთავრების მანიშნებელი გონგის ხმაც ვერ გაიგონოს. მე მას ნოკაუტში მაშინ ჩავაგდებ, როცა მომესურვება," — ამბობს სამუელ პიტერი. მან აღნიშნა, რომ მზადებას გადის ცნობილ სუპერმძიმეწონოსნებთან — რეი ოსტინთან და მორის ჰარისიმთან ერთად. სამუელი დარწმუნებულია, რომ 24 სექტემბრისათვის სრულყოფილად იქნება მზად.



## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**2 სექტემბერი, პარასკევი**

**საქართველოს ტელევიზია. მზე.** „ავტოგრაფი მზის ობიექტივზე" (21.45), *НТВ плюс спорт.* ჰარმონიის ფორმულა" (10.25), ჩოგბურთი, აშშ-ის ღია პირველობა (11.30, 3.00), ტაილანდური კრივი (16.00), ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. საბერძნეთი-ჰოლანდია, პირდაპირი (16.55), „ბილიარდის მეფენი" (18.30), ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. საფრანგეთი — ჩეხეთი. პირდაპირი (19.25), „ნოკაუტი" (21.30), „ყველაფერი რაგბის შესახებ" (21.55), ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი — სერბია და ჩერნოგორია (22.35), EUROSPORT. „დიდი სლემი". აშშ-ის ღია პირველობა (7.00, 12.30, 19.15, 3.00), ველოსპორტი. შეჯიბრება ესპანეთში (17.00).

**3 სექტემბერი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია იმედი.** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საქართველო-უკრაინა. პირდაპირი (20.15). **რუსეთის I-ლი არხი.** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპ-ის შესარჩევი მატჩი. რუსეთი — ლიხტენშტაინი (19.00), *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. (10.25, 3.00), „დიდი რინგი" (15.25), ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. ჰოლანდია — საფრანგეთი (17.25), ესპანეთი — საბერძნეთი (19.55), უკრაინა — რუსეთი (22.25), „სპორტული გლობუსი" (19.25), „ყველაფერი რაგბის შესახებ" (0.30), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. პარაგვაი — არგენტინა. პირდაპირი (0.55). EUROSPORT. „დიდი სლემი". აშშ-ის ღია პირველობა ჩოგბურთში. (1.00, 12.30, 19.15, 3.00), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპ. რეპორტაჟი საბერძნეთიდან (10.30), ველოსპორტი. შეჯიბრება ესპანეთში (17.00).

**4 სექტემბერი კვირა**

**რუსეთის 1-ლი არხი.** კრივი. ბრძოლა პროფესიონალ მოკრივეთა შორის., დიეგო კორალესი — ხოსე ლუის კასტილიო (0-20), *НТВ плюс спорт.* აფროსნობა. „ამერიკის თასი" (10.25), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა (10.55), სპორტული ცეკვები. მსოფლიო თასი (14.40), ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. საფრანგეთი — ესპანეთი (17.25), იტალია — უკრაინა (19.55), რუსეთი — პოლონეთი (22-25), აფროსნობა. „ამერიკის თასი" (19.25), საჭადრაკო მიმოხილვა (21.55), ტაილანდური კრივი (0.30), EUROSPORT. „დიდი სლემი". აშშ-ის ღია პირველობა ჩოგბურთში (7.00, 9.00, 16.00, 22.00, 5.00), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (10.30), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.45), მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. რეპორტაჟი ჰოლანდიიდან (15.00), ველოსპორტი (17.00), ფეხბურთი (19.15).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 2. ავიაკატასტროფაში დაღუპული „ფახთაქორის" ფეხბურთელი, 4. ცნობილი ნიგერიელი ფეხბურთელი, 8. პროფესიონალი მოკრივე, რიდიკ... 10. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 11. ვეტერანი ფრანგი ვაჟი ჩოგბურთელი, 12. ვეტერანი ქართველი ფალავანი, ჭიდაობის „პროფესორი", 14. მოტორიანი ნავი, 16. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი, 18. არგონავტების ნავი, 19. ჭადრაკში დაცვის ვარიანტი, 20. ცნობილი ვეტერანი ინგლისელი ფეხბურთელი, 21. ლეგენდარული რუსი მარათონელი, 22. ნარნარი ფრენა.

**შვეულად:** 1. უცხოეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი ვაჟი მოჭადრაკე, 3. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 5. ფორმულა 1-ის პილოტის ჰაკინენის სახელი, 6. „მილანის" ფეხბურთელი, 7. სფფ-ს ვიცე პრეზიდენტი, 7. ა. შვედეთის საფეხბ. კლუბი, 8. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, 9. საქართველოს საფეხბ. კლუბი, 12. ვეტერანი ხორვატი ფეხბურთელი ზვონიმირ... 13. საჭადრაკო ფიგურა, 15. ჯარისკაცი საჭადრაკო დაფაზე, 16. ტანვარჯიშული იარაღი, 17. მძლეოსნობის პროგრამა.



მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. პანკრატიონი, 7. ლუკე, 8. როსტიაშვილი, 10. აფიშა, 12. ტალტსი, 14. ირბი, 15. „რომა", 16. ლაპორტა, 18. ტალი, 19. სატო, 21. მილუოკი, 23. ადლი, 24. ნამი, 25. ილიადი.

**შვეულად:** 1. „პარმა" 2. კეტაშვილი, 3. „არაუ", 4. „იავა", 5. ილი, 6. ღერძი, 9. ლუა, 11. ფორვარდი, 12. ტოსტაო, 13. სამხტომი, 17. პრიზი, 19. სინი, 22. უნი.

## საჭადრაკო ამოცანები

### ეძღვნება ბიძინა ივანიშვილს



შამათი 3 სვლაში

შამათი 3 სვლაში

№67-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. კ:a6!!
1. .... ba 2. b7 ლe6 3. ლc8 და დიაგონალის დაცვა შეუძლებელია

ავტორი ემზარ შოთას ძე ჯუმბურიძე
თერჯოლის რ-ნი,
სოფ. ზედა სიმონეთი

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com